2017

ალმანახი

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

ერთიანობა
მრავალფეროვნებაშია

ალმანახი

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

2017 წ.

წინასიტყვაობა

წინამდებარე ალმანახი აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ფოტო და ტექსტურ ინფორმაციას შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. მაგ: სამართლებრივი და საკანონმდებლო საკითხები, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ინდივიდუალური მიდგომის პრინციპები, მონაწილეობითი და განყენებული სწავლების მოდელები.

ალმანახის მომზადების მიზანი მდგომარეობს არა - სიღრმისეული, არამედ - ზოგადი ინფორმაციის თავმოყრაში; იმ ინფორმაციისა, რომელიც ერთი შეხედვით ძალიან ნაცნობი და არახალია, თუმცა, მეორე მხრივ - ჯერ კიდევ აქტიური განხილვისა და დისკუსიის საგანია. ტექსტური ინფორმაციის უკეთ აღქმისთვის, კრებულს თან ერთვის ძირითადი დებულებების აუდიო ვერსია.

ალმანახი მომზადდა 'აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის' ბაზაზე არსებული 'შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის კლუბის' ფარგლებში (ორგანიზაციის 'ცვლილებები თანაბარი უფლებებისთვის' მიერ).

სარჩევი

ვინ მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად? 05
სამეტყველო ლექსიკა და ტერმინოლოგია 06
სოციალური, სამედიცინო და სხვა მიდგომები 07
სეგრეგაციული, ინტეგრაციული და ინკლუზიური პრინციპები 10
მითები და რეალობა 12
მედიაგაშუქების ფორმები 16
[**ნინო ბაიდაური**] წიგნის 'მე. შენამდე' - მიმოხილვა 18
[**ივიტა წითაშვილი**] ქალების მდგომარეობა საქართველოში 23
უფლებების დაცვის დღე 28
აქცია-პერფორმანსები:
- შეზღუდული შესაძლებლობა არსებობს 30
- ზღვა ყველასია 31
- გახსენი პანდუსი 32
- ჩემი ადგილი არაა 33
- ასწავლე ჟესტური ენა 34
- ყველა თანასწორია 35

[**ლევან ლორთქიფანიძე**] ბრძოლა თვითგამორკვევისთვის 36
კაპიტოლიუმის მსვლელობა 44
[**თომა კაკაბაძე**] ედ რობერტსის შესახებ 46
[**ედო მჟვანაძე**] ფოტოპროექტი 50
ევროპის სოციალური ქარტია 57
საქ. კანონი სოციალური დაცვის შესახებ 59
საქ. კანონი ზოგადი განათლების შესახებ 60
გაეროს 2006 წლის კონვენცია 61
საქართველოს კონსტიტუცია 66
საქ. ად. სამართალდარღვევათა/სამოქალაქო კოდექსი 67
მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის #41 დადგენილება 70
[**ლინა ღვინიანიძე**] შრომით უფლების რეალიზება 72
სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები 77
პარაოლიმპიური თამაშები 79
[**ირმა ხეცურიანი**] ვინ ვარ მე 80
ზოგადი რჩევები 85
ორგანიზაციების ჩამონათვალი 86

ვინ მოიაზრება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირად?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები - ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელმაც სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვათა თანასწორად. *('გაეროს 2006 წლის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია'/ პერიფრაზი*).

როგორც განმარტებიდან ჩანს, დღეის მდგომარეობით გამოიყოფა შეზღუდული შესაძლებლობის ოთხი კატეგორია; ესაა: ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური და სენსორული.

'ფიზიკური' - მოიცავს მოძრაობასა და გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხებს, 'მენტალური' კავშირშია ფსიქოლოგიურ /ფსიქიკურ მდგომარეობასთან, 'ინტელექტუალური' - ეხება შემეცნების, აზროვნების, გაგებისა და გააზრების პროცესს, ხოლო 'სენსორული' აერთიანებს იმ ასპექტებს, როგორიცაა: მხედველობა, სმენა, შეხება.

გარდა ამისა, თითოეულ კატეგორიას ახასიათებს გამოხატვის სხვადასხვა ხარისხი; კერძოდ: ზომიერი, მნიშვნელოვანი და მკვეთრი. შესაბამისად, არსებობს ზომიერად, მნიშვნელოვნად და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობა.

სამეტყველო ლექსიკა და ტერმინოლოგია

‘შეზღუდული შესაძლებლობა’ - როგორც ტერმინი არც ისე დიდი ხნის ისტორიას ითვლის. საქართველოში ჯერ კიდევ ხშირად შევხვდებით ისეთი ტერმინების გამოყენების ფაქტებს, როგორიცაა: ინვალიდი, ხეიბარი, უნარშეზღუდული და სხვა.

სიტყვა ‘ინვალიდი’(Invalidus) ლათინური წარმოშობისაა და გამოუსადეგარს, გაფუჭებულს, უვარგისს აღნიშნავს, ხოლო ‘უნარშეზღუდული’ აქცენტს არა გარემოს კეთილმოუწყობლობაზე, არამედ - ადამიანსა და მის ამა თუ იმ ტიპის ფიზიკურ მდგომარეობაზე აკეთებს.

შეზღუდული შესაძლებლობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებლობად განიხილებოდეს ყველა ის პირობა, რომელსაც გარემო, საცხოვრებელი თუ უბრალოდ გადასაადგილებელი სივრცე უნდა იძლეოდეს უნარების რეალიზებისთვის; ხოლო გარემოს არაშესაბამისი ხელმისაწვდომობის გამო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წევრებს ექმნებათ დამატებითი ბარიერები; რეალურად, იმათ, ვისაც ხშირად ‘უნარშეზღუდულად’ ან ‘ინვალიდებად’ მოიხსენიებენ, ადაპტირებული გარემო პირობების არსებობის შემთხვევაში, სრულფასოვნად, დამოუკიდებლად და სხვათა თანასწორად შეეძლებათ დამხმარე საშუალებებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული მიდგომები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით საუბრისას, გამოიყოფა ოთხი მიდგომა, რომელიც გამოხატავს გარკვეულ დამოკიდებულებასა და განწყობას აღნიშნული სოციალური ჯგუფის მიმართ. კერძოდ: სამედიცინო, სოციალური, საქველმოქმედო და უფლებადაცვითი.

სამედიცინო მიდგომის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი სრულად არის მოქცეული სამედიცინო დასკვნის/დიაგნოზის ფარგლებში. ის, და მის მიმართ არსებული დამოკიდებულება ვერ სცდება დოკუმენტზე დეკლარირებულ ჩანაწერს ამა თუ იმ ტიპის ფიზიკური ან სხვა პრობლემის შესახებ; პრობლემურად აღიქმება არა ის გარემო, რომელშიც მას გარკვეული შეფერხებების გამო გაუჭირდება სხვათა თანასწორად თანაცხოვრება, არამედ - ის დიაგნოზი, რაც მას უკავშირდება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სამედიცინო მიდგომა სირთულედ თავად შშმ პირს და მის მდგომარეობას წარმოაჩენს, და არა - კეთილმოუწყობელ გარემოს. მაგ: თუ ეტლით მოსარგებლე პირი ვერ სარგებლობს ტრანსპორტით, სამედიცინო მიდგომის მიხედვით ეს 'ვერსარგებლობა' თავად ეტლით მოსარგებლიდან გამომდინარეობს და არა - ტრანსპორტის არაადაპტირებულობიდან.

საპირისპირო შინაარსის მქონეა *სოციალური მიდგომა,* რომელიც, რა თქმა უნდა, სამედიცინო მოცემულობს არ უგულებელყოფს, თუმცა, მსჯელობის ცენტრში დგება არა კონკრეტული პირის სამედიცინო დიაგნოზი, არამედ ის სივრცე, სადაც შშმ პირს უხდება ყოფნა. აქცენტი დაისმის ტრანსპორტის, ინფორმაციის, მომსახურების და ზოგადად - ინფრასტრუქტურის მოუწყობლობაზე. სოციალური მიდგომის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საკუთარი უნარების რეალიზებას იმ დამატებითი ბარიერების გამო ვერ ახერხებს, რომელიც მუდმივად სდევს თან საცხოვრებელ გარემოს; სოციალური მიდგომა 'ბრალს სდებს' გარემოს და არა - ადამიანს.

რაც შეეხება *საქველმოქმედო მიდგომას,* ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ ორი ტიპის გამოვლინებაზე: 1. საჭიროებაზე დაფუძნებული

ქმედება, რომელიც გრძელვადიან შედეგზეა გათვლილი;
2. საჭიროებაშეუსწავლელი აქტი, რომელიც პირადი ქულების დაწერის, რეიტინგის ამაღლების, გულუბრყვილობის ან გაუაზრებლობის შედეგია. პირველი შემთხვევა გულისხმობს შესწავლის პროცესს, გამოკვლევას, საჭიროებათა გამოვლენას და მხოლოდ ამის შემდგომ მოქმედებას. მაგ: თუ მიზნად ვისახავთ, რომ რომელიმე კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს გავუწიოთ რაიმე ტიპის დახმარება, უპრიანია - საწყის ეტაპზე შევაგროვოთ ინფორმაცია, სწორად დავგეგმოთ თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს შესაბამისი რესურსი და მხოლოდ ამის საფუძველზე ვიმოქმედოთ; ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც ხდება ხოლმე, დახმარების აქტის მიზანი რეალურ შედეგზე გასვლა კი არა, დამხმარებლის მიერ თავის წარმოჩენა, პირადი სოციალური აქტივების გამდიდრება, ფასადური მოწყალების გაღება ან უბრალოდ - დაუდევრობაა, რომელიც საკითხის შეუსწავლელობითაა გამოწვეული. საქველმოქმედო მიდგომის ეს ორი გამოვლინება, ცალსახად სხვადასხვა შინაარსს ატარებს და არსებითად ემიჯნება ერთმანეთს. სწორედ ამიტომ, მათ შორის მკაფიო გამყოფი საზღვრის გავლება აუცილებელია.

უფლებადაცვითი მიდგომა, ფაქტობრივად, აერთიანებს ყველა იმ შესაძლებლობის არსებობის მოთხოვნას, რაც ადამიანის ფუნდამენტური თუ არაფუნდამეტური უფლებების დაცვას ეხება; როგორიცაა - ადგილობრივი, სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო მასშტაბის დოკუმენტით/კონვენციით ნაკისრი ვალდებულების განხორციელება. უფლებადაცვითი მიდგომა არის ყველაზე უფრო ოპტიმალური ინსტრუმენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის. ღირსეული მოპყრობა, არადისკრიმინაციული/მისაწვდომი გარემო, საზოგადოების მხრიდან ჯანსაღი დამოკიდებულება თუ სხვა.. - ყველაფერი ეს, საერთო ჯამში, თავმოიყრება უფლებადაცვითი მიდგომის საზღვრებში.

ძალიან მოკლედ და მკაფიოდ რომ გამოვსახოთ თითოეული მიდგომა, თეზისების სახით დაახლოებით მსგავს მოცემულობას ვღებულობთ:

სამედიცინო მიდგომა

პრობლემის სათავე ადამიანია და არა - გარემო

სოციალური მიდგომა

პრობლემის სათავე გარემოა და არა - ადამიანი

საქველმოქმედო მიდგომა

1. ვმოქმედებ საჭიროების შეუსწავლელად, გაუაზრებლად ან ფარული მიზნებით
2. ვმოქმედებ საჭიროების გათვალისწინებით გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებულად;

უფლებადაცვითი მიდგომა

მეც, სხვათა თანასწორად და მსგავსად, მაქვს ყველა ის უფლება, რაც ნებისმიერ ადამიანს

სეგრეგაციული, ინტეგრაციული
და ინკლუზიური პრინციპები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, ძალიან ხშირად შერეული ტიპის მოპყრობასა და დამოკიდებულებას ვხედავთ. მათ შორის, შეიძლება გამოვარჩიოთ სამი სხვადასხვა სახის მიმართება: სეგრეგაციული, ინტეგრაციული და ინკლუზიური.

სეგრეგაციულობის(გამოყოფა-გამოცალკევება) *პრინციპის* მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა იმყოფებოდნენ ცალკე დაწესებულებებში, მათთვის უნდა არსებობდეს ცალკე სკოლები, საცხოვრებელი სახლები და ა.შ [მათი საარსებო გარემო უნდა გაემიჯნოს საზოგადოების სხვა წევრთა სივრცეს].

ინტეგრაციულობის(შერწყმა-შეერთება) *პრინციპის* თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ საჯარო სკოლების ყველა სიკეთით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მუნიციპალური მომსახურებებით, თუმცა, ამ სარგებლობის არეალი მათთვის მკაფიოდ და ცალსახად უნდა იყოს გამოყოფილი/შემოსაზღვრული. მაგ: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები უნდა იყვნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, თუმცა, იგივე სკოლაში/კლასში მათთვის კონკრეტულად გამოყოფილი ადგილი უნდა არსებობდეს.

რაც შეეხება ***ინკლუზიურობის(ჩართულობა-მონაწილეობა)*** *პრინციპს,* ამ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიხილება საზოგადოების სრულფასოვან წევრად და სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რაც ადამიანის ღირსეულ არსებობას ახლავს თან. ინკლუზიურობა გულისხმობს სხვათა თანასწორად საზოგადოებრივ ყველა პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფას მათი შესაძლებლობის ფარგლებში; იქნება ეს - საგანამანათლებლო-შემეცნებითი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გასართობი თუ სხვა ტიპის აქტივობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ინკლუზიურობის გათვალისწინებით საზოგადოების ერთ კონკრეტულ მცირე სივრცეში კი არ არიან გამოკეტილნი, არამედ - თანაბრად მონაწილეობენ მის სხვადასხვა არეალში და ქმნიან ერთ დიდ სოციალურ ერთობას.

მიდგომების ვიზუალიზაცია (სქემა)



მითები და რეალობა

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

მითები და რეალობა

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

მითი #1

შეზღუდული შესაძლებლობა [გარკვეული] ცოდვების შედეგია

რეალობა

შეზღუდული შესაძლებლობა ისეთი მდგომარეობაა, როდესაც გარემოს არასათანადო ხელმისაწვდომობის გამო, ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი უნარების სრულფასოვან რეალიზებას

მითი #2

შეზღუდული შესაძლებლობა გადამდებია და ის გენეტიკურად ან სხვა ალტერნატიული გზით ვრცელდება როგორც შთამომავლობაზე, ისე - გარშემომყოფებზე

რეალობა

შეზღუდული შესაძლებლობა არც ვირუსია და არც რაიმე ტიპის ავადმყოფობა; შესაბამისად, ის არ ვრცელდება სხვა ადამიანებზე. შეზღუდული შესაძლებლობა მდგომარეობაა და არა - პროცესი.

მითები და რეალობა
შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

მითი #3

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ვერასდროს შეძლებს დაოჯახებას, შვილის ყოლას ან/და დასაქმებას

რეალობა

სხვათა მსგავსად, გარემოს სათანადო ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი თავისუფლად შეძლებს როგორც დასაქმებასა და დაოჯახებას, ისე - საზოგადოებრივ პროცესებში სრულფასოვან მონაწილეობას

მითი #4

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უნდა გვეცოდებოდნენ და განსაკუთრებული ყურადღებით ვზრუნავდეთ მათზე

რეალობა

ისინი არ საჭიროებენ განსაკუთრებულ, გადამეტებულ ან სხვაზე მეტ ყურადღებას. ისევე როგორც ყველა ადამიანს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირსაც სჭირდება ადეკვატური, ზომიერი და გონივრული მოპყრობა

მითები და რეალობა

შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ

მითი #5

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები საშიში და აგრესიულები არიან. ისინი ფიზიკურ ან სხვა ტიპის ზიანს აყენებენ მათ გარშემო მყოფ თანატოლებს

რეალობა

ყველა სხვა ბავშვის მსგავსად, შესაბამის ასაკსა და ვითარებაში, ისინი არიან ცელქები და აქტიურები. შეზღუდული შესაძლებლობა არ იწვევს აგრესიას ან ნეგატიურ განწყობას გარესამყაროს მიმართ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ჯგუფის მიმართ ჯანსაღი და ადეკვატურია

მითი #6

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის უნდა არსებობდეს ცალკე სასწავლებლები და საცხოვრებლები. ისინი უნდა მოვარიდოთ საზოგადოების სხვა წევრებს

რეალობა

ყველა ადამიანის განვითარებისთვის აუცილებელია სოციალური ურთიერთობები. ცალკე, განყენებულად სწავლება და ცხოვრება აფერხებს აღნიშნულ პროცესს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს შეურაცხმყოფელ, მჩაგვრეულ ვითარებას უქმნის. გარდა ამისა, მსგავსი გამიჯვნა, საზოგადოების ფართო წრეებისთვის მიუწვდომელს ხდის შშმ პირების შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღებას

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება მედიასაშუალებებში

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მომრავლდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ფაქტები, თუმცა, ამ კუთხით გავრცელებული ინფორმაცია აუცილებლად უნდა გავმიჯნოთ ორი ნიშნით: მედიასტანდარტების დაცვით და მედიასტანდარტების დარღვევით გაშუქება.

სტანდარტების შესაბამისი გაშუქება გულისხმობს გაშუქებას, როდესაც ჟურნალისტი ცდილობს ყურადღება გაამახვილოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე, როგორც საზოგადოების სრულფასოვან და თანასწორ წევრზე, ან ისაუბროს ჯგუფის სოციალური ინკლუზიის პრობლემებზე და ეს გააკეთოს იმგვარად, რომ ხელი არ შეუწყოს სტიგმატიზაციას. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება მართებული და ჯანსაღი ფორმით. ხელი ეწყობა აღნიშნული სოციალური ჯგუფის მიმართ მოძველებული შეხედულებების გადაფასების პროცესს და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოჩნდებიან სრულფასოვან მოქალაქეებად, რომელთაც შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება შესაბამისი კეთილმოწყობილი გარემოს არსებობის პირობებში; სტანდარტების დარღვევით გაშუქება კი გულისხმობს შემდეგს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათთან დაკავშირებული საკითხები აღქმულია მხოლოდ სამედიცინო მოცემულობის - დიაგნოზის კუთხით;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გაიგივებულნი არიან დამხმარე საშუალებების ტყვეობაში მყოფ ადამიანებთან;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები წარმოჩენილნი არიან ქველმოქმედების ობიექტად ან იმგვარად, თითქოს მათ დამოუკიდებელი ცხოვრების უნარი არ გააჩნით და საჭიროებენ მუდმივ დახმარებას ;
- მათ მიმართ გამოყენებულია დამამცირებელი, ღირსების შემლახველი და დისკრიმინაციული ლექსიკა;

მედიამხარდაჭერა ერთ-ერთი მყარი ბერკეტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებული პრობლემების ნათელყოფისთვის, თუმცა, როგორც სიტუაცია გვაჩვენებს, საკითხების გაშუქება ეთიკურობის ფარგლებში არც ისე მარტივია და ყველა იმ ადამიანს, ვინც მსგავსი თემების გაშუქებითაა დაინტერესებული, მაქსიმალური დაკვირვებულობის, სიფრთხილისა და პროფესიონალიზმის გამოჩენა მართებს.

ნინო ბაიდაური
სამოქალაქო აქტივისტი, მთარგმნელი, ფოტოგრაფი

ჯოჯო მოიესის წიგნის ‘მე, შენამდე’ - მიმოხილვა

ჯოჯო მოიესის წიგნის ‘მე, შენამდე’ - მიმოხილვა

ნინო ბაიდაური

2016 წლის გაზაფხული-ზაფხულის მიჯნაზე, ჯოჯო მოიესის ბესტსელერის, „მე, შენამდე“ ქართული თარგმანი (გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“) და რომანის ბრიტანულ-ამერიკული ეკრანიზაცია ორი კვირის შუალედით, თითქმის ერთდროულად გამოჩნდა წიგნის მაღაზიებსა და კინო-თეატრებში. ერთი წლის შემდეგ რომანის მეორე ტირაჟი გამოვიდა და ფილმსაც არ აკლია მაყურებელი. აქსიომად ქცეულ აზრს, რომ ეკრანიზაციები, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში, მთლად დრამატულად თუ არა, საგრძნობლად მაინც ჩამორჩება ლიტერატურულ პირველწყაროს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამიჭირდება, რომ არ დავეთანხმო. ფილმის მიმოხილვა კინოს განსაკუთრებულად მოტივირებულ კრიტიკოსებს მივანდოთ. რომანს კი, როგორც მთარგმნელი (სრულიად სუბიექტური მთარგმნელი, ცხადია), ორიოდე სიტყვას შევაშველებდი.

„მე, შენამდე“ სიყვარულის ისტორიაა, თანაც, ძალიან პოპულარული. ყველაზე „სპოილერთმოშიში“ და ფრთხილი მკითხველისთვისაც, წიგნის გადაშლამდევე ცნობილია, რომ ამ სიყვარულის ისტორიას ორი მთავარი გმირი ჰყავს: მთხრობელი - ინგლისის პატარა პროვინციულ ქალაქში მცხოვრები უბრალო, კეთილი, შეჭირვებული, გულუბრყვილო და მხიარული ლუისა კლარკი და - კარჩაკეტილი, მდიდარი, პრეტენზიული არისტოკრატი, ეტლით მოსარგებლე ყოფილი ბიზნესმენი, უილ ტრეინორი. თითქოს, ყველაფერი პროგნოზირებადი და უკიდურესად ბანალურია. ძნელია, სხვა, რაღაც უფრო დიდის მოლოდინი გქონდეს და შენც, ავტობუსის გაჩერებიდან გაჩერებამდე, ან სულაც, ძილის წინ განსატვირთად და მაქსიმუმ, წირპლთმოსაგვრელად, მორიგი საბატიბუტო

საკითხავისთვის ემზადები. თუმცა, ჟანრის კლასიკა ითხოვს აქ დავწერო, რომ „რაც შემდეგ მოხდება, ნამდვილად გაგაოცებთ“.

„მე, შენამდე“ სიყვარულის არცთუ ბანალურად მოთხრობილი ისტორიაა. ამ მსუბუქ, (კარგი) იუმორით გაჯერებულ ტექსტში, სრულიად ძალდაუტანებლად (!), ძალიან მძიმე, სერიოზული, წინააღმდეგობრივი თემები (კლასთაშორისი საზღვრები და ბარიერები, პირადი სივრცე და ავტონომია, არჩევანის თავისუფლება, განათლებაზე მისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ევთანაზია და კიდევ უფრო ზუსტად, ე.წ. მხარდაჭერით თვითმკვლელობა, მარტოხელა დედობა, ქალზე ძალადობა, დეპრესია) ისეა ჩაქსოვილი, სხვადასხვა პერსპექტივიდან, ავტორისეული სწორხაზოვანი დირექტივების თავზე მოუხვევლად, რომ განსაკუთრებული მგრძნობელობის გარეშე, ზოგიერთი რამ შეიძლება შეუმჩნეველიც კი დაგრჩეს. მეორე მხრივ, ძნელია, დარწმუნებით თქვა, კარგია ეს, ცუდი, თუ სულაც - არცერთი. ჩემი აზრით, ტექსტის ღირსებაა ეს, თუ მანამდე დამეთანხმება მკითხველი, რომ ლიტერატურის ერთადერთი და ჭეშმარიტი დანიშნულება სულაც არ არის როლური მოდელებისა და იდეალური საზოგადოების (თუნდაც, სინამდვილის) გაკარიკატურულებამდე ზუსტი და მშრალი აღწერილობის მოცემა, ჩასაყლაპად გამზადებული დაღეჭილი დიდაქტიკა. წიგნის წამკითხველთა შორის მის მიმართ გულგრილად განწყობილი ადამიანი ჯერ არ შემხვედრია. მისით აღფრთოვანებული ადამიანების ზღვაში კი არცთუ უმნიშვნელო წილი ტექსტის მიმართ კრიტიკულობაზე და უფრო ზუსტად, აღშფოთებაზე მოდის. რამდენადაც ახლობლები და რეალურები ხდებიან პერსონაჟები, რამდენადაც მეტად გულშემატკივრობ, მით მეტად განიცდი მათ გადაწყვეტილებებს, არჩევანს. თან, თუ ისეთი (როგორც იტყვიან) სენსიტიური თემების ირგვლივ ტრიალებ, როგორიც შეზღუდული შესაძლებლობაა, მით უმეტეს.

კვადრიპლეგიის (ოთხივე კიდურის სრული ან ნაწილობრივი პარალიზება) მქონე უილ ტრეინორის სახე არაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ ადამიანის სახე, რომელიც როლურ მოდელად გამოდგება თანამედროვე სამყაროში, როცა ვებრძვით

არასწორ, მავნებლურ, მეტიც, დამღუპველ დამოკიდებულებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების მიმართ. მაგრამ სად გადის ზღვარი ლიტერატურასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული პროექტების მიზნებსა და განსახორციელებელ აქტივობებს შორის? სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა მივმართოთ თუ არა, ერთსა და იმავე კრიტერიუმებს ლიტერატურისა და მსგავსი პროექტების შეფასებისას? სად გადის ზღვარი პირადი არჩევანის თავისუფლებასა და ეგოიზმს შორის, პირად ავტონომიას, მის მოთხოვნილებასა და გარშემომყოფების მიმართ უპასუხისმგებლობას შორის? ეს კითხვებია, რასაც შეიძლება დავაკავშიროთ კრიტიკული დამოკიდებულება რომანის მიმართ.

ის ადამიანები, რომლებიც რომანს აკრიტიკებენ, მეტწილად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მიმომხილველები არიან და მათი არგუმენტები საკმარისზე უფრო მეტადაც ანგარიშგასაწევია, არა მაინც და მაინც წიგნზე წარმოდგენის გადასახედად, არამედ წიგნში წამოჭრილი წინააღმდეგობრივი თემების უფრო ღრმად გასააზრებლად, ვიდრე ამის საშუალებას, თუნდაც, ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგი ტექსტი იძლევა. ტექსტებს ჩვენი წინასწარვე ჩამოყალიბებული შეხედულებებით ვკითხულობთ და ამ

შეხედულებებზე დაყრდნობით ვაკეთებთ ინტერპრეტაციას, ამაზე დაყრდნობით განვსჯით პერსონაჟებს; ამის მიხედვით ვპასუხობთ კითხვებს, რომელსაც სვამს ტექსტი. ამიტომ, წაკითხვამდე გვახსოვდეს, რომ დიახ, შეზღუდული შესაძლებლობით დაბადება და ტრავმის მიღება ცხოვრების დასასრულს არ ნიშნავს. დიახ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებიც სხვა ადამიანების მსგავსად ცხოვრობენ ხოლმე სავსე ცხოვრებით. დიახ, მათ არ სჭირდებათ სიბრალული შესაძლებლობის შეზღუდვის არმქონე ადამიანებისგან და მეტიც, ერთგვარი მომხმარებლური დამოკიდებულება მათგან, რომ მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ყურებითა და თავის ქნევით „დააფასონ საკუთარი ცხოვრება, მიიღონ ინსპირაცია და გადააფასონ საკუთარი, შესაძლებლობის შეზღუდვის ფონზე უმნიშვნელო პრობლემები“. დიახ, დღეს, როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისადმი მათთვის არასასურველი, მიუღებელი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას დედამიწის ყველა წერტილში, იმისდა მიუხედავად, რამდენად ძლიერები არიან ცალკეული ინდივიდები და რამდენად წარმატებით უმკლავდებიან არასასურველ პირობებს, დამოკიდებულებებს, მათ მიღმა არსებულ დაბრკოლებებს, ეს ყველაფერი მათზე გავლენას რა თქმა უნდა, რომ ახდენს. და რა თქმა უნდა, მსოფლიო ლიტერატურას აკლია მათი პერსპექტივა, ხედვა, მზერა, აკლია მათი პერსონაჟები. მაგრამ ეს უკვე სხვა მსჯელობის ან თუნდაც, კრიტიკის საგანია და ჯოჯო მოიესსა და მის ტექსტს, შესანიშნავსა და არსებული, ჯერ კიდევ მყარად ფესვგადგმული დამოკიდებულებების სარკეს, თავისი ღიად დარჩენილი საკითხებითურთ, სცდება.

ივეტა წითაშვილი
ორგანიზაცია ‘დეა’-ს
პროექტების კოორდინატორი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მდგომარეობა საქართველოში

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მდგომარეობა საქართველოში“

ივეტა წითაშვილი

მშობიარობის მერე მხედველობა დაკარგა სრულად და ოჯახმა სახლიდან გააგდო ჩვილიანად _ ეს ერთი ქალის სევდიანი ისტორიაა. უფრო დამთრგუნველი და შემზარავი ისტორიებიც მრავლადაა.

საქართველოში ქალთა უფლებების დასაცავად 1994 წლიდან დღემდე საკანონმდებლო ბაზა გაძლიერდა კონვენციებით, დეკლარაციებით, ეროვნული სამოქმედო გეგმებით, დადგენილებებით, რეზოლუციებით, შეიქმნა სახელმწიფო კომისიები, საბჭოები, გატარდა რიგი ღონისძიებები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ქალთა ცხოვრებაში არსებული სიმძიმეებისგან მათ დასასხნელად.

ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის, ქალთა მკვლელობის, უფლებების დარღვევის ფაქტები და შესაბამისი სტატისტიკა კვლავ შემაშფოთებელია, კვლავ ხელყოფენ ქალთა ღირსებას და საფრთხეს უქმნიან მათ სიცოცხლეს თუ თავისუფლებას. ქალებს შორის კი, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან შეზღუდული შესაძლებლობის ქალები. განმარტებები, თუ რატომ არის ასე, მარტივია _ ცნობიერება ქმნის ყოფიერებას. როგორი ხედვაცაა, ისეთია დამოკიდებულება-ქცევაც და გარემოც. არსებულ მოცემულობას არ ქმნის მხოლოდ სახელმწიფო ან საზოგადოება ან საზოგადოებაში ცალკე კაცები და ცალკე ქალები, ყველას შეაქვს მცირე თუ დიდი წვლილი იმაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები უმეტესად აღიქმებიან უსქესო არსებებად, მათი ცხოვრება სტატიკური, უსიცოცხლო კადრის მსგავსია - სახლის კარებს მიღმა დარჩენილი და იქაც, ხშირ შემთხვევაში, ცარიელი სიყვარულისგან, ადამიანური

მოპყრობისგან, პატივისცემისა და დაფასებისგან. ისინი არიან როგორც ზედმეტი ნივთი, რომელიც არავინ _არც ოჯახმა, არც საზოგადოებამ და არც სახელმწიფომ არ იცის სად წაიღოს, სად გადამალოს, რომ თვალში არავის ხვდებოდეს და არავინ წუხდებოდეს არც მათი ყურებით და არც მათზე ზრუნვით. არც მონაცემები არსებობს მათზე, ვინ არიან, რამდენი არიან, რა ნიჭი აქვთ, რა განათლება-უნარები, რას ქმნიან, რა მისწრაფებები აქვთ, თითქოს მათ არ შეუძლიან იყონ ქალები, დედები, მუსიკოსები, მხატვრები, არქიტექტორები, მათემატიკოსები, ინჟინრები, იურისტები, ეკონომისტები, მერები, გუბერნატორები, წამყვანი და პროფესიონალი სპეციალისტები სხვადასხვა დარგში. ბევრი მათგანის ცხოვრება ოჯახის კედლებს ვერ სცილდება, მათთვის კონსტიტუციითა და სხვა კანონებით გარანტირებული უფლებები _ სიცოცხლის, განათლების, დასაქმების, დასვენების, კანონის წინაშე თანასწორობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, უსაფრთხოების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფლების, დამოუკიდებლად ცხოვრებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის და ა.შ. დილის ნისლივით იფანტება რეალურად მათი აღსრულების ყოველი საჭიროებისას და, თითქოს, ეს უფლებები მხოლოდ სიტყვებია, რომლებიც ვერ ცვლიან ვერც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ცხოვრებას, ვერც საზოგადოებას, ვერც გარემოს.

როცა საუბარობენ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობაზე, საუბრის მიღმა რჩებათ ქალებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს შორის თანასწორობის თემა. ეს სევდიანი ამბავია. რატომ? ის ქალი, რომლემაც მხედველობა დაკარგა სრულად, პირველ რიგში, სწორედ ქალმა არ მიიღო ოჯახში, სწორედ მან გაზარდა სიყვარულისგან დაცლილი, ფუღურო კაცი, რომლის ქცევაც დედის დეგრადირებული ქცევის იდენტური იყო. სწორედ ქალმა არ აღიარა

უსინათლო ქალი ქალად, რადგან მან დაკარგა დალაგების, დარეცხვის და სხვა ფუნქცია, როგორც მექანიკურმა მანქანამ, რომელსაც აწი ვერ გამოიყენებდა ოჯახი. დიახ, ყოველგვარი ურთიერთობა გახდა მომხმარებლური, სახელმწიფოსა და საზოგადობას შორის, ქალსა და კაცს შორის, სიყვარული, როგორც უმთავრესი ღირებულება, ძალადაცლილია ასეთ შემთხვევებში და არ არსებობს ნება პასუხისმგებლობის, ერთმანეთის დაცვის, ერთმანეთზე ზრუნვის და სადაც ნება არ არის, იქ არც ადამიანი იცვლება და არც სამყარო ადამიანის გარშემო. ნებელობა კი სახელმწიფოს, საზოგადოების ან ოჯახის სურვილს არ ნიშნავს, როგორც ეს ბევრს წარმოუდგენია, ნებელობა ვალდებულებაა და არა სურვილი, ვალდებული ვართ ვიყოთ ადამიანები და გვქონდეს ადამიანური ქცევა, ადამიანური ქცევა კი სიყვარულით ქცევაა და ასეთ დროს ვერ იქნები გულგრილი უსინათლო ქალის მიმართ, რომელმაც მხედველობის დაკარგვით დაკარგა ქალის სტატუსი მის გარშემო ადამიანების თვალში, რომელიც აღმოჩნდა ცხოვრებაში, სადაც მისთვის ყველაფერი უცხოა, გაუგებარია, სადაც მან დაინახა მის გვერდით მყოფი ადამიანების ნამდვილი სახე, ადრინდელი ცხოვრებისა და ურთიერთობების ილუზორულობა და ახლა არ იცის, რა ქნას, როგორ გააგრძელოს ცხოვრება.

შეზღუდულობის მდგომარეობაში ათასობით ქალი ექცევა დამანგრეველი ხედვის, დამოკიდებულებისა და გადაწყვეტილებების მარწუხებში, რომელიც არღვევს და, საბოლოდ, აქრობს ქალს. გამოსავალი რაშია? უპირველესად, ცნობიერების ცვლილებაში, რადგან აქედან იწყება ყველა ცვლილება გარემოში და გარშემო. რა თქმა უნდა, გამონაკლისები არსებობენ და ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანებიც მრავლად არიან, რა თქმა უნდა, ყველაფერი ინდივიდუალურია და ყოველგვარ მონდომებას და მოქმედებას მოაქვს შედეგი, რა თქმა უნდა, ნება და ძალა, პირველ რიგში, თვითონ

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებშია და სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, არ გახდნენ პასიური მიმღებნი სხვისი გადაწყვეტილების, დამოკიდებულების, ქცევის. მათ უნდა დააღწიონ თავი ფორმალურ არსებობის მარწუხებს, ცხოვრების ჩამორთმევას და ცხოვრებაში უუფლებო ყოფნას. მძიმეა? რასაკვირველია, მაგრამ დუმილი და დათმენა უფრო მძიმეა. სახელმწიფო კანონდებლობით იღებს ვალდებულებას ,,ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილ და თანასწორ სარგებლობას და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას“. რასაკვირველია, ეს კარგია, მაგრამ არაფერს ნიშნავს მანამ, სანამ სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიმღები პირების (ხელისუფლების), საზოგადოებისა და ოჯახის წევრების ცნობიერება ფუღურად რჩება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე

3 დეკემბერი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღედ (International Day of Persons with Disabilities) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით 1992 წელს დაწესდა. ეს არ არის საზეიმო დღე, ეს არის უბრალოდ თარიღი, რომელიც კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ უნდა ვიყოთ აქტიური მოქალაქეები, რათა ხელი შევუწყოთ თანაბრად და ყველასთვის მისაწვდომი გარემოს არსებობას. გვახსენებს იმას, რომ მიუხედავად პროგრესისა, ჯერ კიდევ ვდგავართ არაერთი გამოწვევის წინაშე და საზოგადოების ყველაზე 'დიდ უმცირესობას' ყოველდღიურად უწევს დამატებითი ბარიერების გადალახვა და კეთილმოუწყობელ გარემოში ყოფნა.



საქართველოში, 3 დეკემბრის გარდა, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღედ 14 ივნისიც არის დაწესებული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად ორგანიზებული აქცია-პერფორმანსები

შეზღუდული შესაძლებლობა არსებობს [24.06.2017]

აქცია გაიმართა თბილისში. მონაწილეები აპროტესტებდნენ იმ მიდგომას, რომლის მიხედვით „შეზღუდული შესაძლელობა არ არსებობს“. ამ დამოკიდებულებით, შშმ პირების წინაშე არსებული გამოწვევები უხილავი ხდება/რჩება.

ზღვა ყველასია [22.08.2017]

აქცია გაიმართა ბათუმში. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ ბულვარისა და სანაპირო ზოლის ხელმიუწვდომობას.

გახსენი პანდუსი [06.06.2014]

აქცია გაიმართა ბათუმში. აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ იმას, რომ ბათუმის ავტოტრანსპორტის ერთ-ერთმა მძღოლმა ეტლით მოსარგებლე მოქალაქეს მიზანმიმართულად არ მისცა პანდუსით სარგებლობის და შესაბამისად - ავტობუსით მგზავრობის საშუალება.

ეტლებით დაკავებული პარკინგი [21.11.2014]

აქცია გაიმართა თბილისში. პერფორმანსის მიზანი საზოგადოებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებობისა და მათი ინტერესების გათვალისწინების შეხსენება იყო.



ჟესტური ენის სწავლების პროგრამა [10.05.2017]

აქცია გაიმართა ბათუმში. მონაწილეების მთავარი მოთხოვნა საჯარო სკოლებში ჟესტური ენის შემსწავლელი კურსების შემოღებას უკავშირდებოდა.

ყველა თანასწორია [14.06.2016]

აქცია გაიმართა თბილისში. აქციის მონაწილეები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებულ უთანასწორობას აპროტესტებდნენ.



ლევან ლორთქიფანიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
დოქტორანტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბრძოლა თვითგამორკვევისა და აღიარებისთვის ევროპაში

(ერთი ევროპული ქვეყნის, გერმანიის მაგალითზე)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ბრძოლა თვითგამორკვევისა და აღიარებისთვის ევროპაში

ლევან ლორთქიფანიძე

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მიუხედავად დამარცხებისა გერმანია მაინც აღმოჩნდა ევროპაში მიმდინარე მთავარი პოლიტიკური პროცესების შუაგულში. გაყოფილი ბერლინი მთელი ქვეყნისა და კონტინენტის ორ მტრულ ბანაკად განცალკევების სიმბოლოდ იქცა. დასავლეთის ქვეყნებსა და საბჭოთა მხარეებს შორის დაპირისპირების ხაზი ხშირად დამარცხებულ და დაშლილ გერმანიაზე გადიოდა. ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო პოლიტიკური ფაქტორების გარდა, გერმანიის გლობალური ყურადღების ცენტრში დარჩენას მის საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებიც განაპირობებდნენ. ნაცისტური რეჟიმის მმართველობის დამხობის შემდეგ, რამაც ქვეყანას მილიონობით ადამიანური და მატერიალური რესურსის დანაკარგი მოუტანა რამაც ქვეყანაში კატასტროფულად გაზარდა უსახლკარო და გაღარიბებული ფენების რიცხვი და ხალხში ნაცისტური რეჟიმის მმართველობის კრიტიკული გადაფასება გამოიწვია და წინ წამოწია მანამდე ყურადღების მიღმა დარჩენილი საზოგადოების სოციალურად დაუცველი ფენების უფლებებისა და სოციალური გარანტიების არსებობის საჭიორება. ისეთბის, როგორიც იყვნენ ღრიბი და უსახლკარო ხალხი, ომის ვეტერანები და მათ შორის შშმ პირები . აღსანიშნავია რომ როგორც ყველგან , ისე გერმანიაშიც შშმ პირთა მოძრაობების გააქტიურება მოჰყვა ომის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ტრამვების მასობრივ გავრცელებას, რადგან ქვეყანაში შშმ პირთა რიცხვი მასობრივად გაიზარდა და საზოგადოება მიხვდა რომ საჭირო იყო ამ ხალხის უფლებების დაცვა, რადგან მანამდე არსბეული სისტემა საერთდ შშმ პირთა თემსაც კი არ ცნობდა და მათ უფლებებზე ზრუნვაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ამიტომ ომის ვეტერანებმა (სადაც შშმ პირებიც მრავლად იყვნენ) , მათმა ახლობლებმა და უბრალოდ საზოგადოების სხვა ჩაგრულმა ჯგუფებმა დაიწყეს ბრძოლა თვიანთი უფლებებისთვის, რამაც ხელი შეუწყო მანამდე არსებულისგან განსხვავებული, ახალი ტიპის სოციალური მოძრაობების აგორებას და ამ მოძრაობათა შორის იყო შშმ პირთა სამოქალაქო მოძრაობებიც.

კონტინენტურ ევროპაში შშმ პირთა ყველაზე გავლენიანი და ხმაურიანი მოძრაობა სწორედ გერმანიიდან დაიწყო რაც სწორედ ზემოთაღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა. აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება შშმ პირთა თვითგამორკვევისა და აღიარებისთვის ბრძოლის რამდენიმე ასპექტი გერმაიის მაგალითზე გავიაზროთ. მით უმეტეს როცა პირველად სწორედ გერმანელმა ხალხმა გაიაზრა საზოგადოების დაუცველი ფენების მძიმე მდგომარეობა და მათი დაცვის საჭიროება.

1960-იან წლებამდე შშმ პირთა პრობლემებზე მოქალაქეთა უმცირესი ჯგუფები მუშაობდნენ. შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებს იმ დროს მხოლოდ ექიმები, მშობლები და ომში დაზარალებული ვეტერანები უთმობდნენ. დანარჩენი საზოგადოებისთვის მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის განსაცდელი შეუმჩნეველი რჩებოდა. უფლებებისთვის მებრძოლი პირებიც ძირითადად სამედიცინო სერვისების მიწოდებისა და ელემენტარული სოციალური შეღავათების მოპოვების მიზნით მოქმედებდნენ. შშმ პირები და მათი მოკავშირეები მეტწილად პატერნალისტურ მიდგომებზე იყვნენ ორიენტირებულნი. მაშასადამე, ითხოვდნენ მზრუნველობასა და „სუსტის სახელმწიფოს მხრიდან მფარველობას“. მართალია ომის შემდეგ დაფუძნებულ პირველ სათემო კავშირებს ფართო სოციალური და პოლიტიკური დღის წესრიგი არ ჰქონიათ, მაგრამ მათ დარაზმვისა და კამპანიების ორგანიზების პირველი პრეცენდენტები შექმნეს.

1960-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა დაიწყეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაბადებულმა მოქალაქეებმა, რომელთაც საკუთარი თვალით ნანახი არ ჰქონდათ არც ომი და არც ნაცისტური რეპრესიები. ისინი ახალი ეპოქის წარმომადგენლები იყვნენ, მათ პურის ფულისა და თავზე ჭერისთვის ბრძოლა არ უწევდათ და წინა თაობებთან შედარებით მრავალრიცხოვნებითაც გამოირჩეოდნენ. სწორედ ამ დროს, სხვა ემანსიპატორულ, დაქვემდებარებისგან გათავისუფლებაზე ორიენტირებულ მოძრაობებთან ერთად გააქტიურდნენ შშმ პირთა სამოქალაქო ორგანიზაციებიც. ფემინისტებისგან, პაციფისტებისგან, მწვანეებისა და ახალი მემარცხენეებისგან განხვავებით, ყველაზე მეტად გარიყული ჯგუფის ხმა ფაქტობრივად არ ისმოდა. ევროპა სტუდენტური მღელვარების

ქარცეცხლში იყო გახვეული. მიუხედავად ამისა, შშმ პირების მოძრაობაში ახალი იდეების წარმოშობისა და განვითარების ეტაპი მაინც დადგა. ახალგაზრდული ამბოხებების ათწლეულში თემის წევრებმა პირველად განაცხადეს საჯაროდ, რომ მათი ჩაგვრის საფუძველი მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იყო. აქტივისტებმა შშმ პირთა გარიყვისა და იზოლაციის საკითხი საზოგადოებაში ძალაუფლების განაწილების ლოგიკასაც დაუკავშირეს. 1960-იან წლებში მოქალაქეებმა პირველად მოითხოვეს გარემოსა და ტრანსპორტის ადაპტირება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახურული პანსიონატებიდან და შინმოვლის ჩაკეტილი სივრცეებიდან გათავისუფლება, საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

გერმანიაში შშმ პირთა სოციალური მოძრაობის აფეთქება თემის პრობლემათა სოციალური კონტექსტის აღმოჩენის შემდეგ, 1970-იან წლებში დაიწყო. მოძრაობის მასშტაბების ზრდა ორი ადამიანის სახელს უკავშირდება. 1974 წელს ეტლით მოსარგებლე სოციალურმა მუშაკმა, გუსტი შტაინერმა და ცნობილმა პუბლიცისტმა ერნსტ კლეემ ფრანკფურტის უმაღლეს სახალხო სკოლაში სპეციალური კურსის სწავლება დაიწყეს. ორი ლექტორის ერთობლივ სემინარზე შეკრებილი სტუდენტები და დაინტერესებული პირები საათობით მსჯელობდნენ შშმ პირთა ჩაგვრის ფორმების შესახებ. ცხარე დისკუსიების დროს პრაქტიკული მოქმედებების განხორციელების საკითხებიც განიხილებოდა. მომხსენებლები ყოველთვის ამახვილებდნენ ყურადღებას ,,აგრესული'' კამპანიების წარმოების აუცილებლობაზეც. კურსის მსვლელობისას, მსმენელებმა მხოლოდ აუდიტორიებში კამათისა და წუწუნის ტენდენციის შეცვლა გადაწყვიტეს. უამრავი ბარიერისა თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, მოულოდნელად შშმ პირებმა, თავიანთ პარტნიორებთან ერთად ქუჩებში გადაინაცვლეს. ფრანკფურტელთათვის გასაოცრად, ათობით ეტლით მოსარგებლემ, გულშემატკივრებთან ერთად, მრავალმილიონიანი ქალაქის მაგისტრალების გადაკეტვა დაიწყო. ისინი ურბანული სივრცის საყოველთაო ხელმისაწვდომობის მოთხოვნით გამოდიოდნენ. მალე პროტესტანტების რისხვა გერმანიის რკინიგზასაც დაატყდა თავს, ევროპის ერთ-ერთი უდიდესი სადგურის ლიანდაგები რამდენიმე საათით ბლოკირებული გახლდათ. რიგი დამკვირვებლები შშმ პირების ამგვარ მოქმედებებს აკრიტიკებდნენ და დივერსიად აფასებდნენ.

თუმცა, მხოლოდ ხმაურმა აიძულა დანარჩენი საზოგადოება, რათა მარტოობისა და იზოლაციისთვის განწირული ჯგუფები შეემჩნია.

მოძრაობის მასობრივი გავრცელების საქმეში გადამწყვეტი როლი „ხეიბართა ჯგუფებმა“ შეასრულეს. „ხეიბართა ჯგუფები“ თემის ყველაზე რადიკალურ და პროვოკაციულ ფრთას წარმოადგენდნენ. მათი დასახელებაც შესაბამისი მიზნით გახლდათ შერჩეული. „ხეიბართა ჯგუფის“ წარმომადგენლები ემიჯნებოდნენ პოლიტკორექტულ გამოთქმებს. ისინი ფოქრობდნენ, რომ რიგი ცნებები (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი) არ ასახავდნენ რეალობას და საზოგადოების მიერ საკუთარი თავის მოტყუების საქმეს ემსახურებოდნენ. „ჩვენ ხეიბრებად და ინვალიდებად, გამოუსადეგარ ადამიანებად დავრჩებით მანამ, სანამ რეალური ინკლუზიის, რეალური აღიარებისა თუ თვითგამოხატვის შესაძლებლობა არ მოგვეცემა“ - ეწერა ჯგუფის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ პირველ პროკლამაციაში.

„ხეიბართა ჯგუფში“ გაწევრიანების უფლება მხოლოდ შშმ პირებს ჰქონდათ. ჯგუფის ლიდერმა, ფრანც ქრისტოფმა იდეა ფემინისტებისგან ისესხა. ფემინისტთა ნაწილი საკუთარ შეხვედრებზე მამაკაცების დასწრებას ეწინააღმდეგებოდა. მათი აზრით, თითქმის არცერთ მამაკაცს არ შეეძლო პატრიარქალური სისტემის მიერ ნაბოძებ პრივილეგიებზე უარის თქმა. ამასთანავე, მოძრაობის დამფუძნებელი ფიქრობდა, რომ სხვების დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად მოქმედება შშმ პირებს თავდაჯერებულობასა და საკუთარი თავის რწმენას შესძენდა. ხალხიც მათ თვითკმარ სოციალურ ერთეულად აღიქვამდა. „ხეიბართა ჯგუფები“ მოძრაობის ყველა ღონისძიებაში მონაწილეობდნენ, გამოირჩეოდნენ რადიკალიზმით, გამოსცემდნენ თავიან გაზეთს, რომელიც შშმ პირთა წარმატებას პირდაპირ უკავშირებდა გაბატონებულ კლასებთან და ელიტასთან ბრძოლას.

შშმ პირთა სხვადასხვა განშტოებები წლების განმავლობაში მსჯელობდნენ საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე, ბლოკავდნენ ავტობანებსა და რკინიგზებს, გამოსცემდნენ გაზეთებს, საფუძველს უყრიდნენ საუნივერსიტეტო კურსებს, ცდილობდნენ თავიანთი შემადგენლობის გაფართოვებას, მაგრამ მოძრაობა მაინც ცენტრალური მედიის ყურადღების მიღმა რჩებოდა. ყველაფერი 1980 წელს შეიცვალა, როდესაც ერთ-ერთმა პროვინციულმა სასამართლომ

სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო. გერმანელი ქალი საკურორტო დაწესებულებისგან შვებულების თანხის ნაწილის ანაზღაურებას ითხოვდა. იგი მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ დასასვენებელ კომპლექსში შშმ პირებისგან იზოლირებულად არ ცხოვრობდნენ და მას მათი ტრაგედიის ყოველდღიურად განცდა უწევდა. სასამართლომ მომჩივანის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. ამ არაჰუმანურმა გადაწყვეტილებამ თემის ათასობით წევრი გამოიყვანა ქუჩებში. ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც შშმ პირთა საკითხი მთავარი საინფორმაციო გამოშვებების პირველსავე წუთებზე გააშუქეს. განაჩენი არ შეცვლილა, მაგრამ მრავალმა მოქალაქემ მოახერხა ერთმანეთის აღმოჩენა, მრავალმა მოქალაქემ გააცნობიერა ერთობლივი მოქმედებების გაგრძელების აუცილებლობა.

1981 წელი გაერომ შშმ პირთა წლად გამოაცხადა. იდეის წარდგენის ცერემონია დორტმუნდში დაიგეგმა. მოძრაობის წევრები ამტკიცებდნენ, რომ მათ პრობლემებს ყალბი, არაფრისმომცემი და მხოლოდ სიმბოლური შინაარსის მქონე ღონისძიებები ვერ მოუღებდნენ ბოლოს. მოქალაქეებმა დორტმუნდის შეკრების ჩაშლა გადაწყვიტეს. გაეროს სახელით გამართული მიღების დაწყებისთანავე, ათობით შშმ პირი სცენაზე აიჭრა და გერმანიის პრეზიდენტს სიტყვის თქმის შესაძლებლობა არ მისცა. აღნიშნული აქტით მოძრაობა უკვე საყოველთაოდ ცნობილ და ანგარიშგასაწევ ძალად იქცა.

ორი სერიოზული და რეზონანსული გამოსვლის შემდეგ, მოძრაობის წევრებმა თავიანთი ტრიბუნალი დაარსეს. ტრიბუნალი არაფორმალურ, სამოქალაქო, სანქციების დაწესების უფლების არმქონე სასამართლოს წარმოადგენდა. ტრიბუნალზე განიხილებოდა შშმ პირთა უფლებების დარღვევისა და ინტერესების შელახვის შემთხვევები. ტრიბუნალის წევრები ყველა პრეცენდენტულ მოვლენას აღწერდნენ და მორალური განაჩენი გამოჰქონდათ მჩაგვრელებისათვის.

საბოლოოდ, შშმ პირთა სოციალურ მოძრაობაში ორი ძირითადი ბანაკი გამოიკვეთა. პირველი ბანაკის წევრები ლობისტებად, ადვოკატირების კამპანიების ორგანიზატორებად, კანონმდებლობის ექსპერტებად იქცნენ. მეორე ბანაკის წევრები კი რადიკალურ ქმედებებსა და წინააღმდეგობის უკომპროფისო ფორმებს ემხრობოდნენ.

80-იანი წლების გამოღვიძების შემდეგ გერმანიაში დიდი საკანონმდებლო და საზოგადოებრივი ცვლილებები განხორციელდა. თანამედროვე გერმანიაში შშმ პირების უფლებები დაცულია მრავალი საკანონმდებლო აქტით, არსებობს შესაბამისი სოციალური გარანტიები, გარემო მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის, ვხვდებით მაღალ თანამდებობაზე მოღვაწე თემის წარმომადგენლებს და ა.შ. შესაბამისად, სოციალური მოძრაობაც მინელდა, ზოგიერთი მკვლევარი მის გაქრობაზეც ალაპარაკდა. ბევრმა თქვენგანმა შეიძლება იფიქროს, რომ ევროპელი შშმ პირები სამოთხეში აგრძელებენ ცხოვრებას; მიუხედავად უდიდესი პროგრესისა, ადამიანებს პრობლემები მაინც თავზე საყრელად აქვთ.

მაგალითად, პროფესორი დიტერ კაცენბახი ერთმანეთისგან განასხვავებს ინტეგრაციისა და ინკლუზიის ცნებებს. ინტეგრაცია ადამიანთა რიგი ჯგუფების ატანასთან, მოთმენასთან ასოცირდება. ინკლუზიური მიდგომა კი გარიყულ სუბიექტს საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აქცევს, საზოგადოებისადმი მიკუთვნებულობის განცდას უჩენს. დასავლურ საზოგადოებებში დღემდე მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც ინკლუზიის პოლიტიკას ყველას გათანაბრების, ყველას ერთ ქვაბში მოხარშვის ტენდენციას უკავშირებენ. ისინი ინკლუზიორობაში „უმრავლესობის უფლებების დარღვევის“ საფრთხეს ხედავენ.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ზოგად პრობლემად მსხვილი ეკონომიკური აქტორების დამოკიდებულება შეგვიძლია დავასახელოთ. დღეს გერმანიის ყველა დიდი კომპანია თავს ინკლუზიურობის მაღალი სტანდარტით იწონებს. მსხვილი ბიზნესი ყურადღებას ამახვილებს მის მიერ დასაქმებულ შშმ პირებსა თუ შემუშავებულ პროგრამებზე. სათემო ორგანიზაციის წევრები კი დასძენენ, რომ უმდიდრესი საწარმოების გადაწყვეტილებების აბსოლუტური უმრავლესობა მარკეტინგის უბრალო ნაწილია. სინამდვილეში კი, შშმ პირებს სამუშაოს მოსაპოვებლად ორმაგად უფრო რთული ბარიერების გადალახვა უწევთ.

მაშასადამე, ბრძოლა უკეთესი საზოგადოებისათვის დღესაც გრძელდება.

დანართი:

სურათზე ასახულია გერმანიის ფედერალურ პრეზიდენტი, მარჯვნიდან მეორე კარლ კარსტენსი, რომელთანაც მმართველი პარტიის არაინკლუზიური პოლიტიკის გასაპროტესტებლად შშმ პირთა მოძრობის წევრი მიდის. მისულმა აქტივისტმა პრეზიდენტის სკამს ყავარჯენი უკაკუნა.

ტრიბუნალი, სადაც შშმ პირები დისკრიმინაციის პრეცენდენტულ სარჩელებს განიხილავდნენ და მორალური განაჩენი გამოჰქონდათ.

სტატია მომზადდა ბერლინის ელის სალომონის უნივერსიტეტის შშმ პირთა საკითხების კვლევების პროფესორის, სვანტე კიობსელის პუბლიკაციის „სეგრეგაციის წინააღმდეგ - თვითმმართველობისთვის: შშმ პირთა მოძრაობის ისტორია გერმანიაში“ მიხედვით.

Capital Crawl Movement - კაპიტოლიუმის მსვლელობა

ADA / ,,ეი დი ეი'' არის 1990 წელს აშშ-ში მიღებული აქტი/კანონი, რომელიც კრძალავს შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე დისკრიმინაციულ მოპყრობას და არეგულირებს თანაბარი საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბების პროცესებს ქვეყნის შიგნით. კანონის პირვანდელი ვარიანტი შემუშავდა და სენატს წარედგინა 1989 წელს.

დოკუმენტი მოიცავს/ეხება სხვადასხვა ტიპის შეზღუდულ შესაძლებლობას; იქნება ეს - მხედველობასთან, გადაადგილებასთან, გონებრივ განვითარებასთან თუ ფსიქო-ინტელექტუალურობასთან დაკავშირებული საკითხები. 'ეიდიეი' ასახავს ადაპტირებული ტელეკომუნიკაციის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურისა და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნის აუცილებლობასაც.

აღნიშულ აქტი იყო შშმ პირთა და მათი უფლებების დამცველთა მრავალწლიანი შრომისა და ბრძოლის შედეგი, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და პიკს სწორედ 80 - იანი წლების ბოლოს მიაღწია. ამ ბრძოლის შედეგად მოხერხდა ADA - ს საკანონმდებლო პროექტის შემუშავება და კონგრესის მიერ მისი მიღება. თუმცა, ამის მიუხედავად, აღმასრულებელი ხელისუფლება და პრეზიდენტი მაინც თავს იკავებდნენ აქტის დაუყოვნებლივი ამოქმედებისგან, რადგან თვლიდნენ, რომ აქტით სახელმწიფოს შშმ პირთა უფლებების უზრუნველსაყოფად დიდი ეკონომიკური ტვირთი აწვებოდა და უმჯობესი იქნებოდა მისი ეტაპობრივი ამოქმედება. ამ ყველაფრის გამო შეიქმნა იმის საფრთხე, რომ ამდენი წლის ბრძოლისა და შრომის შედეგი ,,ეიდიეი'' შეიძლება სადღაც ,,თაროზე შემოედოთ'' და დღის სინათლე კარგა ხანს არ ენახა, რითაც პირველ რიგში შშმ პირები დაზარალდებოდნენ.

აქტის მიღება-ამოქმედების მოთხოვნით, 1990 წლის 12 მარტს, ვაშინგტონში, კაპიტოლიუმის შენობასთან, სწორედ იმ დროს როდესაც პრეზიდენტს გადაეცა აქტი ხემოსაწერად შეზღუდული შესაძლებლობის

მქონე პირთა მიერ მოეწყო აქცია, რომელიც 'Capitol Crawl' - ის სახელითაა ცნობილი. აქციის მონაწილეები, კაპიტოლიუმის შენობის მრავალსაფეხურიან კიბეზე ცოცვით გამოხატავდნენ ადაპტირებული გარემოს არსებობის მნიშვნელობას და ცდილობდნენ, რომ აქციის მომენტისთვის არსებული მოუწყობელი საცხოვრებელი გარემო პირობები ამგვარად გაეპროტესტებინათ. აქციის მონაწილეთა შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები; მათ შორის - ბავშვები და ხანდაზმულები. საბოლოო ჯამში, საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანების ხარჯზე გაღებულმა ძალისხმევამ შესაბამისი შედეგი გამოიღო და სენატმა და პრეზიდენტმა 'ეიდიეი' - ს მიღებას მხარი დაუჭირეს და აქტიც ძალაში შევიდა .

თომა კაკაბაძე
სამოქალაქო აქტივისტი, სტუდენტი

მზად ცხოვრებისთვის

(ედ რობერტსის შესახებ)

„მზად ცხოვრებისთვის(ედ რობერტსის შესახებ)“

თომა კაკაბაძე

ეს ისტორია ამერიკელ სამოქალაქო აქტივისტს და აშშ-ი შშმ პირთა ერთ-ერთ პირველ უფლებადამცველს, ედ რობერტსს ეხება.

14 წლის ასაკში ედს პოლიმელიატი დაუდგინეს; რაც ნიშნავდა იმას, რომ ის მთელ ცხოვრებას ხელოვნური ფილტვებით, ეტლში გაატარებდა.

ამ მძიმე დიაგნოზის მოსმენის შემდეგ ედმა თვითმკვლელობა გადაწყვიტა. ის შიმშილობდა მანამ, სანამ 23 კილო არ დაიკლო; მაგრამ ერთ დღესაც გადაწყვიტა, რომ უნდა ეცოცხლა და სიცოცხლისათვის ებრძოლა, რათა ეპოვა თავისი ფუნქცია. თავიდან ძალიან უჭირდა - ისწავლა ეტლში ჯდომა და ხელოვნური გადასაადგილებელი რესპერატორით სუნთქვა. ამ დავალებას თავი მალევე გაართვა და 1962 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში დაიწყო სწავლა, რითაც დაამსხვრია სტერეოტიპი რომ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ შეუძლიათ უმაღლესი განათლების მიღება“.

ის, იმ დროისთვის პირველი სტუდენტი იყო ასეთი სერიოზული დაავადებით, მაგრამ მალევე გაიზარდა შშმ პირებში განათლების მსურველთა რიცხვი, რაც აბსოლოტურად შეიძლება ედ რობერტსის მიერ გმირობის ფასად გადადგმული ნაბიჯების შედეგად ჩავთვალოთ.

სწორედ, უმაღლეს სასწავლებელში, ედის მისვლის შემდეგ შემუშავდა სპეციალური პროგრამა, რომელიც შშმ პირებს აძლევდა საშუალებას სხვათა თანასწორად მიეღოთ უმაღლესი განათლება, ამის შედეგად კი ასობით შშმ სტუდენტმა შეძლო უნივერსიტეტის დასრულდება.

მართალია შშმ პირებისთვის უნივერსიტეტის კარი გაიღო, მაგრამ სხვა ყველა კარი დახურული იყო - არ არსებობდა ადაპტირებული გარემო, არ იყო დასაქმების შანსი და არც სხვა ტიპის სერვისებთან ჰქონდათ შშმ პირებს წვდომა. კედელი იყო აღმართული საზოგადოების დანარჩენ ნაწილსა და შშმ პირებს შორის, რომლის დანგრევაც ადვილ საქმე არ

იქნებდა. თუმცა, ედი აქტიურობას განაგრძობდა და მისი აქტიურობის შედეგსაც არ დაუგვიანია. 1975 წელს კალიფორნიის გუბერნატორმა ედი დანიშნა იმ დეპარტამენტის ხელმძღვანელად, რომელიც უზრუნველყოფდა შშმ პირების რეაბილიტაციას. იმ ეტაპისთვის, დეპარტამენტში 2200 ადამიანი მუშაობდა. ასე, ედ რობერტსმა დაამტკიცა, რომ შშმ პირებს არამარტო სრულფასოვნად მუშაობა, არამედ დასაქმებულთა ხელმძღვანელობაც შეუძლიათ.

მიუხედავად არაერთი წარმატებისა, ედს არ ტოვებდა უხერხულობის განცდა მექანიკური ეტლის გამოყენების გამო. მას, მუდმივად უხდებოდა სხვისი დახმარების მიღება გადაადგილების მიზნით. საბოლოოდ, მან გადაწყვიტა ესწავლა ელექტრო ეტლის მართვა. პირველად გაუჭირდა, მაგრამ შეძლო, შემდეგ კი მუხლებზე დაისვა თავისი შეყვარებული და წავიდნენ მზის ჩასვლის საყურებლად. მალევე დაქორწინდნენ და შეიძლება ბევრს რატომღაც გაუკვირდეს, მაგრამ მათ გაუჩნდათ ,,ჯანმრთელი'' შვილი. ამით კი ედმა ის სტერეოტიპიც დაამსხვრია რომ „შშმ პირს არ შეუძლია შვილის ყოლა“.

ედ რობერტსი, მილიონობით ადამიანს დაეხმარა, რათა მათ ეპოვათ ცხოვრების აზრი. მან შექმნა მოძრაობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამოქალაქო უფლებებს იცავდა.

1990 წელს მიღებულ იქნა „აქტი შშმ პირთა უფლებებისთვის“, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე.

„დღესდღეობით 75% ვერ მუშაობს, მათ უნდა შეეცვალათ საკუთარ თავთან დამოკიდებულება, შეეცვალათ ადამიანების დამოკიდებულება მათ მიმართ და რაც მთავარია ემუშავათ სხვა ადამიანებთან ერთად, დაევიწყათ საკუთარი პრობლემები და დახმარებოდნენ სხვებს. ჩვენ უნდა შევძლოთ და დავანახოთ საზოგადოებას რომ შეზღუდული შესაძლებლობა არ ახდენს გავლენას მუშაობაზე, თუ გინდა მუშაობა შენ

შეძლებ კარგად იმუშაო, დაგჭირდება ცოტა დახმარება და ტექნიკური ხელსაწყოები“ – ამბობდნენ ისინი.

მე ედ რობერტსისა და მისი თანამებრძოლების მაგალითმა მომცა სტიმული, რომ ვიბრძოლო ჩემი, თქვენი, ჩვენი უკეთესი მომავლისთვის! მე დავრწმუნდი რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მთავარია გჯეროდეს და გწამდეს საკუთარი თავის და შენ შეძლებ ნებისმიერ წინააღმდეგობაზე გაიმარჯვო და მართო საკუთარი ცხოვრება. საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანს აქვს თანაბარი შესაძლებლობა თვითრეალიზებისთვის, გაცილებით ძლიერია და მას აქვს გაცილებით ფართო არეალი უკეთესი მომავლის შენებისათვის.

ედი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ცდილობდა დაემსხვრია კედელი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და საზოგადოების უმრავლეს ნაწილს შორის არსებობდა. კედელი რომელიც დღეს, ამდენი წლის შემდეგ ჩვენთან, საქართველოში ჯერ კიდევ მყარად დგას...

მე მჯერა, რომ ჩვენ ყველა ერთად ნამდვილად შევძლებთ დავანგრიოთ ის კედელი, რომელიც დღეს ჩვენთან შშმ პირებსა და საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორისაა აღმართული!

ედო მჟავანაძე
ფოტოგრაფი

ფოტოპროექტი

„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“

ფოტოპროექტი
„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“
ედო მჟავანაძე

ფოტოპროექტი მიზნად ისახავდა იმ საკითხების წარმოჩენას, რაც შშმ პირებს დამოუკიდებელ ცხოვრებასა და საზოგადოების სხვადასხვა პროცესში ჩართულობას ურთულებს. მაგ: არაადაპტირებული გარემო, ინფორმაციის ხელმიუწვდომობა ჟესტურ ენაზე, უსინათლო ბილიკებსა და ზებრა-გადასასვლელებზე პარკირება და სხვა.

ფოტოპროექტი

„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“

ედო მჟავანაძე

ფოტოპროექტი
„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“
ედო მჟავანაძე

ფოტოპროექტი
„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“
ედო მჟავანაძე

ფოტოპროექტი
„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“
ედო მჟავანაძე

ფოტოპროექტი
„შეზღუდული შესაძლებლობა და ბარიერები“
ედო მჟავანაძე

ევროპის სოციალური ქარტია
(შესწორებული)
სტრასბურგი 03.05.1996

I ნაწილი

მხარეები თავიანთი პოლიტიკის მიზნად აღიარებენ, იხელმძღვანელონ ყველა შესაბამისი საშუალებებით, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ხასიათის, რათა მიაღწიონ ისეთ პირობებს, რომლებშიც შესაძლებელი იქნება შემდეგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტური განხორციელება

2. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გამოიმუშავოს მისი ცხოვრების სახსრები საქმიანობით, რომელშიც იგი თავისუფლად ჩაერთვება.

15. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოების ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

მუხლი 9. პროფესიული ორიენტაციის უფლება.

პროფესიულ ორიენტაციის უფლების ეფექტური განხრციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ აუცილებლობის შესაბამისად უზრუნველყონ ან ხელი შეუწყონ ისეთი სამსახურების არსებობას, რომლებიც დაეხმარება ყველა პირს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ჩათვლით, გადაჭრან დასაქმების არჩევასთან და პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული პრობლემები პირის თავისებურებისა და დასაქმების შესაძლებლობასთან მისი დამოკიდებულების სათანადოდ გათვალისწინებით: ამ დახმარების გაწევა უნდა მოხდეს უფასოდ, როგორც ახალგაზრდებისათვის სკოლსი მოსწავლეთა ჩათვლით, ასევე მოზრდილებისთვისაც.

მუხლი 15. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებლობის, სოციალური ინტეგრაციისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლელობების ხასიათისა წარმოშობის მიზეზის მიუხედავად; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებლობის; სოციალური ინტეგრაციის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ეფექტურად განხოციელების მიზნით, მხარეები ვალდებულებას იღებენ:

1. მიიღონ აუცილებელი ზომები ზოგადი სქემების ფარგლებში, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ორიენტაცია და პროფესიული მომზადება, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ არის სპეციალიზებული საჯარო ან კერძო ორგანოების მეშვეობით;

2. ხელი შეუწყონ მათ ხელმისაწვდომობის დასაქმებისადმი ყველა ზომის საშუალებით, რომელიც მიზნად ისახავს დამსაქმებელთა წახალისებას დაიქირაონ და დასაქმებული ყავდეთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ჩვეულებრივ სამუშაო გარემოში და მიუსადაგონ სამუშაოს პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროების, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია უუნარობის გამო, ისეთი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფით ან შექმნით, რომელიც შესაბამისობაში იქნება შესაძლებლოების ხარისხთან, განსაზღვრულ შემთხვევებში, ასეთი ზომები შეიძლება მოითხოვდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმებისა და მხარდაჭერის სპეციალური სამსახურების გამოყენებას;

3. ხელი შეუწყონ მათ სრულ სოციალურ ინტეგრაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას, კერძოდ იმ საშუალებებით, რომლებიც შეიცავენ ტექნიკურ დახმარებას, რომელიც მიზნად ისახავს კომუნიკაციისა და გადაადგილესი სფეოში არსებული ბარიერებსი აღმოფხვრას, ტრანსპორტითა და საცხოვრებელი ადგილებით უზრუნველყოფას, კულტურულ ღონისძიებებისაა და დასვენების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ

მუხლი 1.

(...)

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დისკრიმინაცია აკრძალულია და კანონით ისჯება.

მუხლი 3. სახელმწიფოს როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის სფეროში

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს ინდივიდუალური განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

2. სახელმწიფო ამ კატეგორიის ბავშვებს უწესებს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაციის დამატებით გარანტიებს.

მუხლი 5. ჟესტების ენა

სახელმწიფო ცნობს ჟესტების ენას პიროვნებთაშორისი ურთიერთობის საშუალებად და უზრუნველყოფს აუცილებელი პირობების შექმნას მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის.

მუხლი 22. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის პირობები

1. *საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეაბილიტაციის ინდივიდუადური პროგრამის შესაბამისად იქმნება შრომის სათანადო პირობები.*

საქართველოს კანონი
ზოგადი განათლების შესახებ

მუხლი 7. ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობლიურ ენაზე მიღების უფლებას.

(...)

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაზრდილი ვაუჩერის ოდენობითა და დამატებითი დაფინანსებით უნდა უზრუნველყოფდეს:

ა) საჯარო სკოლაში ზოგადი განათლების ღიაობას და მის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

გ) საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების და მულტილინგვური განათლების დანერგვას;

მუხლი 26. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება ზოგადი განათლების სფეროში

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის - საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური შეთანხმების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, ამ კანონის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე:

მ) (...)შეიმუშავებს ალტერნატიული ფორმით განათლების მიღების დებულებას; შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესებს, აგრეთვე სპეციალური აგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმს;

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო)
2006 წლის 13 დეკემბრის
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია

აღნიშნული დოკუმენტი, წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით, რომლის რატიფიცირების ანუ დადასტურება/ხელმოწერის პროცესი თანდართული დეკლარაციის თანხლებით, საქართველოში 2013 წლის 26 დეკემბერს განხორციელდა.

რატიფიცირების ნაბიჯს თან სდევს იმპლემენტაციის პერიოდი, რომელიც კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში დანერგვას გულისხმობს. როგორც სხვა ტიპის შეთანხმებები, ისევე - კონვენციაც, გარდა საერთო ღირებულებითი თანხმობისა, საკუთარ თავში მოიცავს კონკრეტული ვალდებულებების შესრულებას ყველა მნიშვნელოვან სფეროში - კულტურა, პოლიტიკა, ეკონომიკა, სპორტი, ინფრასტრუქტურა და ა.შ

გთავაზობთ ამონარიდებს შესაბამისი დოკუმენტიდან:

პრეამბულა

ამ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნები:

(ა) ითვალისწინებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს, რომლებიც აღიარებენ ადამიანთა მოდგმის ყველა წარმომადგენლის თანდაყოლილ ღირსებასა და ღირებულებას, ასევე მათ თანასწორ და ხელშეუხებელ უფლებებს, როგორც მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის დამყარების საფუძველს;

(ო) აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პირადი ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მნიშვნელობას, საკუთარი არჩევნის თავისუფლად გაკეთების ჩათვლით;

(პ) მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა ჰქონდეთ პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისას გადაწყვეტილებების მიღების პროცესშიაქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა;

ტ) ხაზს უსვამენ სქესთა შორის თანასწორობის პრინციპის გათვალისწინების აუცილებლობას ყველა იმ წამოწყებაში, რომელიც მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულად სარგებლობის ხელშემწყობისაკენ,

(შ) გამოთქვამენ რწმენას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფლებებისა და ღირსების მხარდაჭერისა და დაცვის სრული და საყოველთაო საერთაშორისო კონვენცია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ პირების მიმართ არსებული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრაში და ხელს შეუწყობს, როგორც განვითარებულ, ასევე განვითარებად ქვეყნებში, მათ მონაწილეობას, თანასწორი შესაძლებლობების პირობებში, სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში;

მუხლი 4
ზოგადი ვალდებულება
წევრი სახელმწიფოები, იღებენ ვალდებულებას:

3) განახორციელოს ან ხელი შეუწყოს წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული უნივერსალური დიზაინის პროდუქტების, მომსახურებების, მოწყობილობების და დანადგარების კვლევებს (გამოგონებასა) და განვითარებას, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გამოყენებისათვის მინიმალურ ადაპტაციას და ხარჯებს მოითხოვს, ხელი შეუწყონ ამ პროდუქტების, მომსახურებების, მოწყობილობების და ინსტალაციების ხელმისაწვდომობას, გამოყენებას და უნივერსალური დიზაინის ჩართვას სტანდარტებსა და გზამკვლევების (დირექტივების) ჩამოყალიბების პროცესში;

მუხლი 9
ხელმისაწვდომობა

1. იმისთვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დამოუკიდებლად არსებობისა და ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობის საშუალება მიეცეთ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა შესაბამის ზომას, რათა მათთვის უზრუნველყონ, სხვების თანასწორად, ფიზიკური გარემოს, ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის, ტექნოლოგიური სისტემების, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების ჩათვლით, საზოგადოებისთვის განკუთვნილი სხვა მოწყობილობებისა და მომსახურებების ხელმისაწვდომობა, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის პირობებში. ეს ზომები, რომლებიც ასევე მოიცავენ დაბრკოლებებისა გამოაშკარავებასა და აღმოფხვრას, შეეხება;

მუხლი 19
დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

ამ კონვენციის ხელმომწერი წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას სხვებთან თანასწორი არჩევანითიცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ყველა ეფექტურ და სათანადო ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუადვილონ ამ უფლებით სრული სარგებლობა და ხელი შეუწყონ საზოგადოებაში მათ სრულ ინკლუზიასა და მონაწილეობას;

მუხლი 24
განათლება

1.წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლების მიღებაზე. ამ უფლებით დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე სარგებლობის უზრუნველსაყოფად, წევრმა სახელმწიფოებმა ყველა საფეხურზე უნდა დანერგონ განათლების ინკლუზიური სისტემა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა;

მუხლი 27
შრომა და დასაქმება

1.წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლებას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, აღნიშნული მოიცავს საარსებო სახსრების თავისუფლად არჩეული ან შრომის ბაზარზე არსებული სამუშაოთი გამომუშავების შესაძლებლობის უფლებას და ისეთი სამუშაო გარემოს უფლებას, რომელიც არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. წევრი სახელმწიფოები იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების განხორციელებას, მათ შორის იმათთვისაც, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვა მოხდა სამუშაოს შესრულებისას, სათანადო ზომების მიღებით, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით;

მუხლი 29
პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა

წევრი სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის უზრუნველყოფენ პოლიტიკურ უფლებებს და ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე და ვალდებულებას იღებენ შემდეგზე:

ა) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, შეეძლოთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტური და სრული მონაწილეობა, უშუალოდ ან თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლება და შესაძლებლობა, ხმა მისცენ ან კენჭი იყარონ (იყვნენ არჩეული). ამისათვის წევრი სახელმწიფოები, სხვა ზომებთან ერთად:

მუხლი 30

კულტურულ, რეკრეაციულ, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა

1.წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში სხვების თანაბრად და იღებენ ყველა სათანადო ზომას , რათა ამ პირებისათვის:

ა) კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული მასალა მათთვის ხელსაყრელ ფორმატში იყოს მისაწვდომი;

ბ) ტელეგადაცემები, ფილმები, თეატრალური წარმოდგენები და სხვა კულტურული ღონისძიებები მათთვის ხელსაყრელ ფორმატში იყოს მისაწვდომი;

გ) კულტურული ღონისძიებებისადგილები, როგორებიცაა თეატრები, მუზეუმები,
კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, ტურისტული სააგენტოები და შესაძლებლობის ფარგლებში, ეროვნული მნიშვნელობის კულტურული ძეგლები და ადგილები, ხელმისაწვდომი იყოს;

საქართველოს კონსტიტუცია
(ამონარიდები _ ალმანახის მომზადება/დაბეჭდვის დღისთვის მოქმედი რედაქციიდან)

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

მუხლი 30. მოქალაქისათვის მინიჭებული სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერება

2. სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება არ შეიძლება შეუჩერდეს იმ პირს, რომელიც აღნიშნული საშუალებით სარგებლობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის ქონის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი სატრანსპორტო საშუალებას ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მართავს

მუხლი 32. ადმინისტრაციული პატიმრობა.

3. ადმინისტრაციული პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოთ ორსულ ქალებს, დედებს, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები, თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებს, პირველი და მეორე ჯგუფის ,,ინვალიდებს"[ამჟამად, აღნიშნული ტერმინი აღარ გამოიყენება].

მუხლი 178[1] . შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი პირობების შექმნისაგან თავის არიდება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობებით, ტრანსპორტითა და სატრანსპორტო კომუნიკაციებით, კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობისათვის, აგრეთვე მისი თავისუფალი გადაადგილებისათვის აუცილებელი პირობების შექმნისაგან თავის არიდება, – გამოიწვევს დაჯარიმებას 300-დან 500 ლარამდე.

მუხლი 178[2] . ობიექტების დაპროექტებისას და მშენებლობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა .

დასახლებული პუნქტების დაპროექტებისა და განაშენიანების, საცხოვრებელი რაიონების ფორმირების, საპროექტო გადაწყვეტილებების შემუშავების, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლობა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500-დან 800 ლარამდე

საქართველოს კანონი
საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

მუხლი 11. უფლებაუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.

4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.

მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტები

მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 41-ე დადგენილება (ამონარიდები)

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი და მიზნები

1. წინამდებარე ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მიზანია თანამედროვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადაპტაციის, ინდივიდუალური განვითარებისა და მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის ხელშეწყობა. ამასთან მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინება პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში.

მუხლი 5. პანდუსები

1. შენობა-ნაგებობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესვლა უნდა ხდებოდეს პანდუსის საშუალებით, რომელიც უნდა იყოს უსაფრთხო ნებისმიერ ამინდში და კონტრასტული ფერით გამორჩეული. პანდუსების კონსტრუქციები და მათი შემოკავება საჭიროა გაკეთდეს ცეცხლმედეგი მასალისაგან, ცეცხლმედეგობის ზღვარით არანაკლებ 2-საათისა. შესასვლელი კარების წინ ბაქნის გაბარიტები უნდა შეესაბამებოდეს ეტლის ტრიალის რადიუსს.

მუხლი 22. საერთო მოთხოვნები

2. მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობადაკარგული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სავარჯიშოდ დაუშვებელია მრავალსექციურ დარბაზებში ისეთი ტიხრებით გამოცალკევებული მოედნებისა და ზონების გამოყენება, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს აკუსტიკურ იზოლაციას. ასეთ ადამიანთათვის განკუთვნილ სპორტულ დარბაზებში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ბგერათშთანთქმელი აკუსტიკური ჭერი, ხოლო დარბაზთა კედლები შეიმოსოს რბილი, დრეკადი მასალით, იატაკიდან არანაკლებ 2 მ-ის სიმაღლეზე და ასევე დაიდგას ჰორიზონტალური სახელურები.

მუხლი 30. საზოგადოებრივი სივრცის მოწყობა

1. ფეხით მოსიარულეთა გზებზე, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, გზებსა და ქუჩებზე, მოედნებზე, განსაკუთრებით გზაჯვარედინებზე, პარკებში, რკინიგზის სადგურებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებთან საჭიროა დაიდგას საინფორმაციო მაჩვენებლები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გააფრთხილებს შესაძლო ბარიერების შესახებ .

3. საზოგადოებრივ, განსაკუთრებით ხალხმრავალ თავშეყრის ადგილებში, საჭიროა გათვალისწინებული იყოს ვიზუალურ და ხმოვან ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობები. შუქნიშნები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც ახდენენ ფეხით მოსიარულის რეგულირებას სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, აგრეთვე იმ ადგილებში, რომლებიც სახიფათოა მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობა დაკარგულ (უსინათლო) ადამიანთათვის, საჭიროა დუბლირებულ იქნას ხმოვანი სიგნალებით.

ლინა ღვინიანიძე

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება, როგორც სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ბაზისი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება, როგორც სოციალური ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრების ბაზისი“

ლინა ღვინიანიძე

დასაქმებისა და შრომის უფლების განხორციელებას განსაკუთრებული, მეტიც გადამწყვეტი როლი აქვს საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის, მათ მიმართ არსებული სტერეოტიპების, სტიგმების დაძლევისა და მათი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის პროცესში. თუმცა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმებისა და შრომის ბაზარზე შესვლის გზაზე დაუძლეველ დაბრკოლებებს მათი უფლებების დარღვევის ის ჯაჭვი ქმნის, რომელიც სოციალურ გარემოზე, საგანმანათლებლო დაწესებულებებზე თუ მთლიანად განათლების პროცესზე სისტემის წვდომის ჩათვლით, მათი ცხოვრების ყველა ძირითად სფეროს მოიცავს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დიდ ნაწილს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დასაქმებისათვის აუცილებელი უნარებისა და ცოდნის გარეშე ტოვებს. თუმცა, იმ შემთხვევაშიც კი თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათი ოჯახის წევრების განსაკუთრებული მხარდაჭერის თუ სხვა საგამონაკლისო ფაქტორების გამო ახერხებენ სათანადო განათლების მიღებას, ისინი მაინც არაერთი ბარიერის წინაშე დგებიან შრომის ბაზარზე ინტეგრაციისას.

გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია შრომისა და დასაქმების უფლების რეალიზებას სახელმწიფოს პასუხისმგებლობად ხედავს და ყველა წევრ სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს, ავალდებულებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყოს „საკუთარი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფის შესაძლებლობის მოპოვების უფლება, მაშინ როდესაც შრომითი ბაზარი და სამუშაო

გარემო არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.“ კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს გაატარონ აქტიური ზომები, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არა მხოლოდ დასაქმებაში, არამედ სამსახურებრივი წინსვლის შესაძლებლობების შექმნაში, ასევე სამუშაო ადგილის მოძიებასა და შენარჩუნებაში. მეტიც, კონვენცია სახელმწიფოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ტექნიკური და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების, დასაქმების სამსახურების, პროფესიული და უწყვეტი განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფას ავალდებულებს.[1]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზება სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებულად რთული გამოწვევაა, თუმცა, შრომის უფლების რეალიზების საუკეთესო გამოცდილებები აჩვენებს, რომ სახელმწიფოები ამ სირთულის დასაძლევად ერთი მხრივ ზრუნავენ იმგვარი კანონმდებლობის ფორმირებისათვის, რაც გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციულ მიდგომებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით და მეორეს მხრივ ახორციელებენ სპეციალურ-მხარდამჭერით პროგრამებსა და პოლიტიკას, რაც დააკომპენსირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის დაბალ / არაკონკურენტულ პოტენციალს და გაზრდის მათი დასაქმებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის ისეთი მექანიზმებია განვითარებული, როგორიცაა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შემთხვევაში სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა დამსაქმებლისათვის, სახელმწიფოს მხრიდან სახელფასო სუბსიდირება, დამსაქმებლის მხარდაჭერა სამუშაო ადგილის მისაწვდომობის უზრუნველყოფაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების კვოტირების

[1] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია; მუხლი 27. შრომა და დასაქმება. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289. ბოლო ნახვა. 22/10/2017.

სისტემა საჯარო თუ კერძო სექტორში, სათანადო სამუშაო გარემოსა და შრომითი პირობების უზრუნველყოფა გონივრული მისადაგების სტანდარტის გამოყენებით, პროფესიული ორიენტაციის პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, დასაქმების სპეციალური ცენტრები, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა და განვითარება და სხვა.[2]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის უფლების რეალიზების კუთხით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, კონვენციის რატიფიცირებიდან დღემდე, საქართველომ ვერ შეძლო ერთიანი ეფექტიანი პოლიტიკის შექმნა და გატარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით. დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პროგრამები ვერ პასუხობს კონვენციის მოთხოვნებს და ძირითად პრინციპებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების იმგვარი გაძლიერებისათვის, რათა მათ შეძლონ დასაქმება, მათ შორის, ღია და ინკლუზიურ ბაზარზე.[3] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ კანონი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხებს არეგულირებს, არ არის ქმედითი, რამდენადაც არ მოიცავს მისი აღსრულებისათვის აუცილებელ საკანონმდებლო გარანტიებს და მექანიზმებს. ასევე, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამსაქმებლებისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობ და წამახალისებელ მნიშვნელოვან საშეღავათო მექანიზმებს. ხოლო მცირე საგადასახადო საშეღავათო რეგულაციები, სახელფასო სუბსიდირების პროგრამის შეზღუდული და მოკლევადიანი ხასიათი და დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული

[2] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის ქვეყნებში; ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013; გვ. 98-109. ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/2013/12/31/1029/; ბოლო ნახვა: 22/10/2017.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი, გვ.757. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf , ბოლო ნახვა: 22/10/2017.

მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული პროგრამების მწირი და შეზღუდული ბუნება ვერ პასუხობს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური და ქმედითი დასაქმების ღონისძიების განხორციელების მიზანს. მეტიც, დღეს მოქმედი კანონმდებლობა უფლებაშემზღუდავია საჯარო სამსახურში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ზოგიერთი კატეგორიის მიმართ, რომლებსაც უწყდებათ სოციალური პაკეტის მიღება, საჯარო სამსახურში დასაქმების შემთხვევაში.[4]

სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლების რეალიზების არაპრიორიტეტულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ საჯარო რექტორში დასაქმებული 53 000-ზე მეტი პირიდან მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხოლო სახელმწიფოს დღემდე არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკური მონაცემი კერძო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რაოდენობის შესახებ.[5]

[4] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 6.4. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717 , ბოლო ნახვა: 22/10/2017.

[5] „საჯარო სამსახურის ბიუროს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით, საჯარო სამსახურში დასაქმებული 53 109 პირიდან, მხოლოდ 112 არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ“, 2015 წელი, გვ.727. ხელმისაწვდომია: http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf. ბოლო ნახვა: 22/10/2017.

ევროპის ადამიანი უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ არსებულ საქმეებზე

დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები

საქმეზე : Vincent v. France (2006 წლი 24 ოქტომბერი) - ევროსასამართლომ განაცხადა, რომ ეტლით მოსარგებლე პირის მოთავსება არაადაპტირებულ ციხეში წარმოადგენდა მის მიმართ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ იკვეთება კონკრეტულად ამ დაკავებული პირის მიმართ რაიმე დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი მოპყრობა, თავად ის ფაქტი, რომ პირს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილდეს ეტლით ციხის ტერიტორიაზე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - დატოვოს თავისი საკანი დამოუკიდებლადვე, უტოლდება კონვენციის მე-3 მუხლით განსაზღვრულ (აკრძალულ) დამამცირებელ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.

შეაბამისად სასამართლომ დაადგინა კონვენციის დარღვევა, ხოლო სახელმწიფოს დააკისრა კომპენსაცია და დაავალა ციხეებში მდგომარეობის გამოწორება . (**დამატებით იხილეთ მსგავსი სამეები: Price v. the United Kingdom (10/07/ 2001), Z.H v. Hungary (no:28973/11) (08/11/2011), Arutyunyan v. Russia (10/01/2012), Asalya v. Turkey (15/04/2014) და სხვა).**

დისკრიმინაციის ფაქტები:

Cam v. Turkey - საქმე ეხება მოსარჩელისთვის თურქეთის ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში ჩარიცხვაზე უარის თქმას მისი უსინათლოობის გამო. სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ იგი აკმაყოფილებდა მიღებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკადემიაში მიღებაზე უარი ეთქვა მხოლოდ მისი უსინათლოობის გამო. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან უარის თქმა გონივრული მისადაგების განხორციელებაზე არის დისკრიმინაცია და არღვევს ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა).

Guberina v. Croatia (22/3/2016) აღნიშნულ საქმეში მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მშობელი უჩიოდა იმ საგადასახადო ორგანოს, რომელმაც არ გაითვალისწინა მისი შვილის საჭიროებები(ადაპტირებული საცხოვრისის მოწყობა) და სხვა მსგავსი სოციალური ჯგუფების მსგავსად, არ გაათავისუფლა ის ქონების გადასახადისგან.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა (დისკრიმინაციის აკრძალვა) საკუთრების უფლებასთან ერთობლიობაში. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფომ არ აღიარა განმცხადებლის სიტუაციის ფაქტობრივი განსხვავება არაშშმ პირებთან მიმართებაში და არ გაითვალისწინა შიდა კანონმდებლობის ის ნორმები, რომელიც აწესრიგებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ შენობების ხელმისაწვდომობას; ასევე, უგულებელყო ის ვალდებულებები, რაც მას გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით ეკისრება.

შესაბამისად სასამართლომ დაადგინა დიკრიმინაციული მოპყრობა და ასევე, მასთან ერთობლიობაში ცნო საკუთრების უფლების ხელყოფაც.

პარაოლიმპიური თამაშები

პარაოლიმპიური თამაშები სათავეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იღებს, როდესაც ბრიტანელმა ვეტერანებმა სპორტული

ღონისძიებების ორგანიზება დაიწყეს. ეტაპობრივად, თამაშებმა საერთაშორისო ხასიათი მიიღო და დღესდღეობით ის მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრია, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სპორტული კუთხით აერთიანებს.

პარაოლიმპიური თამაშები ზამთარსა და ზაფხულში ტარდება - ოლიმპიადის პარალელურად და მის ორგანიზებაზე 'საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტი' ზრუნავს. პირველი პარაოლიმპიური თამაშები 1960 წელს, რომში, იტალიაში მოეწყო.

ოლიმპიადის მსგავსად, პარაოლიმპიური თამაშებიც მიმართულებების მრავალფეროვნებით ხასიათდება. შეჯიბრებები ტარდება სიმაღლეზე ხტომის, ჩოგბურთის, ცურვის, ჰოკეის, მშვილდოსნობის, კალათბურთისა და სპორტის სხვა სახეობაში.

ირმა ხეცურიანი

მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის
პრიზიორი ფარიკაობაში

პირადი ისტორია

(ვინ ვარ მე)

პირადი ისტორია - ვინ ვარ მე

ირმა ხეცურიანი

მე ვარ ირმა ხეცურიანი, 31 წლის. დავიბადე აფხაზეთში. სამწუხაროდ იმ ავბედითი ომის შემდგომ იძულებული ვიყავი 7 წლის ასაკში დამეტოვებინა ოჯახთან ერთად საკუთარი სახლი და მხარე. წყალტუბოში გავაგრძელე ცხოვრება , სკოლა აქ დავამთავრე. 18 წლის ასაკში ქ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩავაბარე უცხო ენისა და ინფორმატიკის ფაკულტეტზე. პირველი კურსის მიწურულს კი ჯანმრთელობის პრობლემა შემექმნა და აქედან დაიწყო სრულიად ახალი ცხოვრება. თავიდან მძიმე და განცდებით აღსავსე პერიოდის შემდეგ შევეგუე მდგომარეობას და გადავწყვიტე გამაგრძელებინა ცხოვრება როგორც სრულფასოვან ადამიანს შეეფერება.

რა თქმა უნდა, ამ საინტერესო სამყაროში უამრავი პრობლემა და ხელისშემშლელი ბარიერია, თან ყოველდღიურად. ეს დამთრგუნველი და

სამწუხარო ფაქტია. დღეს უფრო მსუბუქად აღსაქმელია ჩემი მდგომარეობა ჩემთვის ვიდრე ეს წლების წინ იყო. უკვე 14 წელია რაც ეტლით მოსარგებლე ვარ და მგონია მთელი ცხოვრების პრობლემები და დაბრკოლებები მხოლოდ ამ 14 წელიწადს მოიცავს.

მთავარ გამოწვევად ყველა იმ ბარიერს მივიჩნევ რაც ჩვენ, შშმ პირთა თემს ყოველი დღის დასაწყისშივე გვხვდება. ერთ-ერთი უმთავრესი კი ის არის, რომ აუცილებლად უნდა მოგვეცეს დამოუკიდებლად ცხოვრების საშუალება. ვგულისხმობ არამხოლოდ პანდუსებს და შეღწევად შენობა-ნაგებობებს, არამედ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად ყოფნას.

არ უნდა იყოს ხაზგასმული ჩვენი მდგომარეობა ასე მკვეთრად. არ უნდა აპელირებდეს ყველა იმ ფაქტს რომ, რადგან ეტლით ვსარგებლობ ანგელოზი და ყველასგან გამორჩეული ვარ.

ჩემს ცხოვრებაზე არსებული ვითარება წლების წინ უფრო აისახებოდა... დღეს მე მიუხედავად ყველა იმ სირთულისა რაც დღემდე მხვდება, ვარ საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი და ვისაც როგორ უნდა ისე შემომხედოს; ეს უკვე აღარ მოქმედებს ჩემზე. რა თქმა უნდა, ყოფილა წლები როდესაც არ მიყვარდა სეირნობა იმიტომ რომ ისეთ თვალებს და გამოხედვას ვგრძნობდი, მეშინოდა. ვფიქრობდი რომ უსარგებლო, გამოუსადეგარი არსება ვიყავი, ვისაც მხოლოდ სხვაზე დამოკიდებულებით, სხვისი დახმარებით შეეძლო ეცხოვრა. ეს მაფიქრებდა და ცუდ ემოციებს იწვევდა ჩემში. მაგრამ დღეს მე საკუთარი თავი ისეთი მდგომარეობით მიყვარს როგორშიც ვარ .

რაც შეეხება წარმატებას დავიწყებ იმ დღით როდესაც პირველად დამირეკეს „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებიდან“, მახსოვს ბატონ გია ძნელაძეს ვესაუბრე და შემომთავაზა სენაკის ბანაკში წასვლა, სადაც ეტლით მოსარგებლეებს ასწავლიდნენ დამოუკიდებლად ცხოვრებას და მომიწოდა რომ წავსულიყავი. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და ასე დაიწყო ჩემი აქტიური ცხოვრება.

შემდეგ იყო თბილისი და პარაოლიმპიური კომიტეტი, სადაც ოფის-მენეჯერად ვმუშაობდი. საოცრად კარგი და თბილი კოლექტივი მყავდა. აი, იქ დაიწყო სპორტში ჩემი აქტიურად ჩართვა. ჩემმა მეგობარმა თინა რევაზიშვილმა შემომთავაზა მეცადა ჩემი ძალები ფარიკაობაში და მეც დავთანხმდი. რომ არა თინა და მისი ჩემდამი რწმენა, ალბათ, დღეს არ ვიქნებოდი ფარიკაობაში. რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი და მეგობრები, ჩემი მეუღლე... ყველას, თავისი დიდი წვლილი აქვს ჩემს წარმატებაში, მაგრამ მთავარი ჩემი გუნდის და ჩემი ერთობლივი მუშაობაა, რომელსაც საკმაოდ კარგი შედეგი მოჰყვა. ჩემი გუნდი ოჯახივით არის თუ რამე წარმატება გვაქვს ეს მხოლოდ ერთად, დაუღალავი ვარჯიშის ნაყოფია. გულშემატკივრები... მათი როლი უდიდესია სპორტსმენის ცხოვრებაში.

მინდა ჩვენს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპებიც ავღნიშნო. ისინი უამრავია და თავდაპირველ ეტაპზე - საშინლად დამთრგუნველი, თუმცა, ტერმინები ყველაზე მეტად მაღიზიანებს და მაღონებს. ის აზრია

ყველაზე ცუდი გასააზრებელი როდესაც ირგვლივ ყველა თვლის რომ „უსარგებლო ინვალიდი ხარ და აუცილებლად უნდა იჯდე სახლში“. მართალია, ნელი ნაბიჯებით, თუმცა, მაინც იცვლება ეს ყველაფერი.

ცვლილებებში ძირითადი როლი სწორედ ჩვენ - შშმ პირებს და ჩვენი ოჯახის წევრებს გვაქვს. ჩვენ უნდა მივახვედროთ სახელმწიფოც და საზოგადოებაც რომ ძალიან დიდი ძალა ვართ და ბევრი კარგი სასარგებლო საქმის კეთება შეგვიძლია, რადგან მოგვეცა ეს მდომარეობა ჩვენ უნდა ვიყოთ მომთხოვნები და აქტიურები. თუ ჩვენ არა მაშინ სხვები, ვისთვისაც ეს მდგომარეობა საერთოდ უცხოა, რას შეცვლიან? არაფერს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ მაქსიმუმი, გვქონდეს მუდმივი კონტაქტი საზოგადოებასთან . სწორად ასე უნდა მივაწოდოთ ჩვენი სათქმელი და არ უნდა გავხდეთ თავად მოწყალების მთხოვნელები. ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ მიუხედავად ჩვენი განსხვავებული მდგომარეობისა საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. ჩვენი ყოველი დარღვეული უფლება მათი მინუსია და ეს ნამდვილად ვერ წაგვიყვანს შორს. რაც შეიძლება მეტი ცივილური და სწორი კომუნიკაცია საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ფარიკაობა - ეს ყველაზე დიდი ცვლილებების ხანაა ჩემს ცხოვრებაში. რადიკალურად შეცვალა ჩემი ცხოვრების რიტმი და განრიგი. მან მასწავლა მოთმინება, ბრძოლისუნარიანობა, სწრაფვა გამარჯვებისაკენ, მასწავლა თუ როგორია იყო სპორტსმენი. როგორც კი ფარიკაობის დიდ ოჯახში

მოვხვდი ეს იყო დასაწყისი ჩემი ახალი ეტაპის, ჩემი შინაგანი მეს გარდაქმნის და ჩემი პიროვნებად ჩამოყალიბების. რაც უფრო მეტი წარმატება გვაქვს გუნდს მით მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია შშმ პირთა თემის, ქვეყნის და ერის წინაშე. საოცრად დიდი სიამაყის განცდაა როდესაც შენს ჰიმნს უსმენ სხვა ქვეყანაში და შენი დროშა ფრიალებს.

ურჩიო ვინმეს ეს ზედმეტად რთულია. ყველა იდივიდია და ყველას საკუთარი აზრი თუ შეხედულება აქვს არსებულ მდგომაროებაზე. მათი გადარწმუნება და ერთ აზრზე მოყვანა არ არის ადვილი და მგონი არც საჭირო. დრო მოვა და ყველა მიხვდება თუ როგორ ჯობს იცხოვრო - ჭაობში დარჩე და ტკეპნო მძიმე ფიქრებით ერთი ადგილი, თუ იყო აქტიური მიუხედავად ყველა ბარიერისა და იბრძოლო საკუთარი თავის დამკვიდრებაზე. მე ვიცი რაც ნიშნავს იტრიალო ერთ წრეზე და ისიც ვიცი რა შვებაა როდესაც ამ წრეს თავს აღწევ. საკუთარი თავის გარდა ვერასდროს ვერავინ გადაგარჩენს მსგავს სიტუაციებში. ისევ ჩვენ უნდა ვიფიქროთ თუ რატომ უნდა გავუღიმოთ ცხოვრებას თუნდაც ყველაზე მძიმე წუთებშიც, რადგან ის ბუმერანგივით არის და აუცილებლად დაგიბრუნებს ღიმილს და სითბოს რაც შენ გაეცი.

რჩევები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისას

1. როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ესაუბრებით, მიმართეთ უშუალოდ მას და არა - მის თანმხლებ პირს;
2. თუ შშმ პირი მოგმართვათ დახმარების თხოვნით ან თავად იჩენთ კონკრეტულ სიტუაციაში მისთვის დახმარების გაწევის სურვილს, აუცილებელია, რომ დეტალურად ჰკითხოთ მას თუ როგორ და რა ფორმით სჭირდება დახმარება;
3. როდესაც ხვდებით ადამიანს, რომელიც სუსტად მხედველი ან უსინათლოა, აუცილებლად დაასახელეთ საკუთარი თავი და ისინი, ვისთან ერთადაც ხართ; თუ საუბარი ჯგუფში მიმდინარეობს, არ დაგავიწყდეთ დაასახელოთ საკუთარი თავი და ის - ვისაც მიმართავთ;
4. როდესაც საუბრობთ ადამიანთან, რომელიც ეტლით გადაადგილდება ან ყავარჯნებით სარგებლობს, ეცადეთ ისე განთავსდით, რომ თქვენი თვალები ერთ სიმაღლეზე იყოს; ეს მასთან საუბარს გაგიადვილებთ;
5. ადამიანს, რომელიც ეტლით მოსარგებლეა მხარზე ან ზურგზე ხელი არ უნდა დაჰკრათ;
6. ნუ დაეყრდნობით ეტლით მოსარგებლის ეტლს ან ნუ ეცდებით ეტლის გამოყენებას რაიმე სხვა ნიშნით, ეტლი - ადამიანისთვის პირადი სივრცის ხელშეუხებელი ნაწილია;
7. ნუ შეცბუნდებით, თუ შემთხვევით წამოგცდათ უსინათლოსთან - "ვნახავთ ერთმანეთს", „ხედავ, რა ხდება", „ნახე, რა გააკეთა" - ეს ბუნებრივი პროცესია; ამ შემთხვევაში „ხედვა" მხოლოდ „თვალით მხედველობას" არ მოიცავს (იგივე შეიძლება ითქვას სხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის მაგალითზეც).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კუთხით მომუშავე ორგანიზაციათა საძიებელი

ორგანიზაცია - **ასოციაცია ანიკა**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **ირინე ინასარიძე**
ელ. ფოსტა - **geoanika1997@gmail.com**
ტელ: **599 87 47 37**

ორგანიზაცია - **ოჯახი, ბავშვი, საზოგადოება**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **მაია ბიბილეიშვილი**
ელ. ფოსტა - **mabibi50@hotmail.com**
ტელ: **577 72 56 09**

ორგანიზაცია - **მშობელთა ხიდი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **თეონა ყაჭეიშვილი**
ელ. ფოსტა - **teonakacheishvili@gmail.com**
ტელ: **577 47 34 40**

ორგანიზაცია - **ქალი და რეალობა**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ქალთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **თამარ მაჭარაშვილი**
ელ. ფოსტა - **womanandreality@hotmail.com**
ტელ: **551 00 42 04**

ორგანიზაცია - **სტუდია 'ეი დი სი'**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ახალგაზრდების შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **გუნა ბიბილეიშვილი**
ელ. ფოსტა - **studioadc_ge@yahoo.com**
ტელ: **5995 03 70 38**

ორგანიზაცია - **უსინათლოთა კავშირი**
გეოგ. არეალი - **თბილისი და 21 რეგიონული ოფისი**
საქმიანობის პროფილი - **უსინათლოთა/მცირედმხედველთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **ფრიდონ ლობჟანიძე**
ელ. ფოსტა - **fridonlobjanidze@mail.ru**
ტელ: **577 44 99 24**

ორგანიზაცია - **ყრუთა კავშირი**
გეოგ. არეალი - **თბილისი და 19 რეგიონული ოფისი**
საქმიანობის პროფილი - **სმენის არმქონე/სმენადაქვეითებულთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **ბადრი ბატატუნაშვილი**
ელ. ფოსტა - **geodeaf@mail.ru**
ტელ: **577 45 66 15**

ორგანიზაცია - **გორის კეთილდღეობის და განვითარების ცენტრი**
გეოგ. არეალი - **გორი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **თინა ბრეგვაძე**
ელ. ფოსტა - **tina-1@rambler.ru**
ტელ: **599 79 25 72**

ორგანიზაცია - **კავშირი 'რეა'**
გეოგ. არეალი - **სამცხე-ჯავახეთი, თბილისი, ასპინძა**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **ელისო რეხვიაშვილი**
ელ. ფოსტა - **eliso.rekhviashvili1@gmail.co**
ტელ: **599 57 75 41**

ორგანიზაცია - **შშმ პირთა დასაქმების კავშირი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **ვლადიმერ ასლამაზიშვილი**
ელ. ფოსტა - **aslamazi@mail.ru**
ტელ: **597 96 78 88**

ორგანიზაცია - **საქართველოს შშმ ქალთა საერთაშორისო ასოციაცია**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ქალთა უფლებების ადვოკატირება**
ხელმძღვანელი - **მანანა გალუაშვილი**
ელ. ფოსტა - **gdwia@access.sanet.g**
ტელ: **2 920 911**

ორგანიზაცია - **მშობელთა დახმარების კავშირი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვების მშობელთა მხარდაჭერა**
ხელმძღვანელი - **ნათია კიკვაძე**
ელ. ფოსტა - **natia_kikvadze@yahoo.com**
ტელ: **591 66 85 77**

ორგანიზაცია - **თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მხარდაჭერა**
ელ. ფოსტა - **cfp.shostak@gmail.com**

ტელ: **599 56 47 21**
ორგანიზაცია - **საქართველოს პარაოლიმპური კომიტეტი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **პარაოლიმპური სპორტის განვითარების ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **შალვა მაისურაძე**
ელ. ფოსტა - **shakognpc@yahoo.com**
ტელ: **593 37 41 37**

ორგანიზაცია - **სმენის/მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **სმენის/მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **მაია ასაკაშვილი**
ელ. ფოსტა - **asakashvili_maia@yahoo.co**
ტელ: **599 51 33 97**

ორგანიზაცია - **პარსა**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **ხელმისაწვდომი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **თამარ მახარაშვილი**
ელ. ფოსტა - **parsa.tamar@yahoo.com**
ტელ: **577 46 46 25**

ორგანიზაცია - **კავშირი 'ია'**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **ნინო ჭაბუკიანი**
ელ. ფოსტა - **kavshiri_ia@yahoo.com**
ტელ: **555 50 55 49**

ორგანიზაცია - **შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის კავშირი**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვთა და მშობელთა რეაბილიტაცია**
ხელმძღვანელი - **თამარ მაღლაკელიძე**
ელ. ფოსტა - **maghlata@gmail.com**
ტელ: **599 87 47 40**

ორგანიზაცია - **ბიბლიოთეკა-კულტურული ცენტრი "თანადგომა"**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა ჩართულობის ხელშეწყობა კულტურულ აქტივობებში**
ხელმძღვანელი - **ნანა გელაშვილი**
ელ. ფოსტა - **nana9872001@yahoo.com**
ტელ: **577 46 65 71**

ორგანიზაცია - **გადააბიჯე ბარიერს**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **ეტლით მოსარგებლეთა გაძლიერება**
ხელმძღვანელი - **თინათინ რევაზიშვილი**
ელ. ფოსტა - **tintinrevazishvili@gmail.com**
ტელ: **599 64 87 68**

ორგანიზაცია - **მზის შვილები**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა მხარდაჭერა**
ხელმძღვანელი - **ინგა ლოლაძე**
ელ. ფოსტა - **mz.shvilebi@gmail.com**
ტელ: **599 51 66 60**

ორგანიზაცია - **უფლება და თავისუფლება**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **ნანა ნინიაშვილი**
ელ. ფოსტა - **nninia@yahoo.com**
ტელ: **599 97 37 61**

ორგანიზაცია - **ნაბიჯ-ნაბიჯ**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **ნინო გულუა**
ელ. ფოსტა - **ngulua@hotmail.com**
ტელ: **577 79 20 99**

ორგანიზაცია - **პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **ადამიანის უფლებათა დაცვა**
ელ. ფოსტა - **phr.georgia@gmail.com**
ტელ: **+ 995 032 2 33 13 56**

ორგანიზაცია - **ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა უფლებების ადვოკატირება**
ხელმძღვანელი - **თემურ კაკაბაძე**
ელ. ფოსტა - **CTU.DPO@Gmail.Com**
ტელ: **577 57 40 00**

ორგანიზაცია - **Art Way (ხელოვნების გზა)**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **სოციალური პრობლემების ადვოკატირება ხელოვნების გზით**
ხელმძღვანელი - **ოთარ ქათამაძე**
ელ. ფოსტა - **NgoArtWay@Gmail.Com**
ტელ: **571 12 80 80**

ორგანიზაცია - **Step forward**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთათვის მომსახურების მიწოდება(რეაბილიტაცია)**
ხელმძღვანელი - **მანანა ინაიშვილი**
ელ. ფოსტა - **manana_inaishvili@yahoo.com**
ტელ: **577 76 25 80**

ორგანიზაცია - **ასოციაცია 'თანა'**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთათვის მომსახურების მიწოდება(რეაბილიტაცია)**
ხელმძღვანელი - **ნანა საყვარელიძე**
ელ. ფოსტა - **tanabatumi@gmail.com**
ტელ: **599 58 69 88**

ორგანიზაცია - **ასოციაცია 'გენეზისი'**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთათვის მომსახურების მიწოდება(რეაბილიტაცია)**
ხელმძღვანელი - **ხათუნა ფაღავა**
ელ. ფოსტა - **khatuna@genesis.ge**
ტელ: **599 24 35 28**

ორგანიზაცია - **ინკლუზიური და ინტეგრაციული სწავლების ცენტრი 'თანადგომა'**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ ბავშვთა შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა**
ხელმძღვანელი - **მანანა მაჩალაძე**
ელ. ფოსტა - **mananamach@mail.ru**
ტელ: **593 50 59 75**

ორგანიზაცია - **ფონდი 'ღვთისშვილები'**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ბათუმი**
საქმიანობის პროფილი - **საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზება შშმ პირთა მხარდასაჭერად**
ხელმძღვანელი - **გოგიტა მურცხვანაძე**
ელ. ფოსტა - **gvtisshvilebi@gmail.com**
ტელ: **593 90 62 75**

ორგანიზაცია - **ხულოს შშმ პირთა კავშირი**
გეოგ. არეალი - **აჭარა, ხულო**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **ჯემალ ჭელიძე**
ტელ: **591 71 47 42**

ორგანიზაცია - **საჩხერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რეგისტრირებული კავშირი**
გეოგ. არეალი - **იმერეთი, საჩხერე, ჭიათურა**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა უფლებების დაცვა**
ხელმძღვანელი - **გოგა გოგატიშვილი**
ელ. ფოსტა - **goga72disability@gmail.com**
ტელ: **599 27 45 67**

ორგანიზაცია - **მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის**
გეოგ. არეალი - **თბილისი**
საქმიანობის პროფილი - **შშმ პირთა უფლებების დაცვა**
ელ. ფოსტა - **geoaccessibility@yahoo.com**
ტელ: **0322 18 18 96**

ერთიანობა
მრავალფეროვნებაშია